

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ანი მერებაშვილი

ინგლისური ნეოლოგიზმები და მათი გავლენა თანამედროვე  
ქართულ ენაზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
ფაკულტეტზე ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაია აკოლაშვილი  
განათლების დოქტორი,  
მოწვეული სპეციალისტი

გორი

2020

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის თემას წარმოადგენს ინგლისური ნეოლოგიზმები და მათი გავლენა თანამედროვე ქართულ ენაზე. ნეოლოგიზმების თემა ამოუწურავია, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხის გარშემო არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და კვლევა არსებობს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი სამაგისტრო ნაშრომით შევიტანთ გარკვეულ წვლილს ნეოლოგიზმების კვლევაში.

ნაშრომში განვიხილეთ ენის განვითარების თანმდევი პროცესები და გლობალიზაციის გავლენა მის განვითარებაზე. ასევე ყურადღება გავამახვილეთ უცხოურ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც ქართულ ენაში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრდა.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა ქართულ ენაში დამკვიდრებული ინგლისური ნეოლოგიზმების შესწავლას. განვიხილეთ ნეოლოგიზმების გავრცელების ძირითადი მიზეზები და მათი გავლენა ქართულ ენაზე. ნაშრომი ასევე ეხება იმ სფეროების მიმოხილვას, რომლებშიც აქტიურად მიმდინარეობს ანგლიციზმების გავრცელება. ეს საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან დღეს ქართული ენის ლექსიკური მარაგი განუხრელად ივსება ანგლიციზმებით.

კვლევის სახით წარმოვადგინეთ ინგლისური ნეოლოგიზმების გამოყენების სიხშირე ისეთ სფეროებში, როგორც არის ქართულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, კომპიუტერული ტექნოლოგიები, მედიცინა, სპორტი, პოლიტიკა, ბიზნესი და შოუბიზნესი.

**A. Merebashvili**

**English neologisms and their influence on the modern Georgian language**

**Annotation**

The topic of the master's thesis is English neologisms and their influence on the modern Georgian language. The study of neologisms is endless, although there are numerous scientific papers and researches around this issue. We hope that with our master's thesis we will make some contribution to the study of neologisms.

In the paper we discussed the accompanying processes of language development and the impact of globalization on the language development. We also focused on foreign lexical items that were established in the Georgian language.

The main part of the paper is devoted to the discussion of English neologisms established in the Georgian language. We discussed the main reasons for the spread of Neologisms and their impact on the Georgian language.

The paper also refers to the areas in which the spread of Anglicism is actively taking place. This issue is of special interest, because today the vocabulary of the Georgian language is filled with Englishisms.

In the form of research, we presented the frequency of use of English Neologisms in the Georgian Media, computer technologies, medicine, sport, business and showbusiness.

## სარჩევი

შესავალი -----	5
თავი I. ენა, როგორც განვითარებადი მოვლენა -----	8
1.1. ენა და მისი განვითარების თანმდევი პროცესები-----	8
1.2. გლობალიზაცია და მისი გავლენა ენის განვითარებაზე-----	12
1.3. ენობრივი სესხების ფორმები-----	16
1.4. უცხოური ლექსიკური ერთეულები ქართულ ენაში-----	20
თავი II. ინგლისური ნეოლოგიზმები ქართულ ენაში -----	24
2.1. ინგლისური ნეოლოგიზმები და მათი გავრცელების ძირითადი მიზეზები-----	24
2.2. ნეოლოგიზმების გავრცელების ძირითადი საშუალებები-----	27
2.3. ანგლიციზმების გავრცელების არეალი და მათი სიხშირე-----	31
2.4. ნეოლოგიზმების გავრცელების ძირითადი სფეროები თანამედროვე ქართულ ენაში-----	34
2. 4. 1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები -----	35
2. 4. 2. კომპიუტერული ტექნოლოგიები-----	36
2. 4. 3. მედიცინა-----	37
2. 4. 4. სპორტი-----	39
2. 4. 5. ბიზნესი-----	41
2. 4. 6 პოლიტიკა-----	42
2. 4. 7. შოუბიზნესი-----	43
დასკვნა-----	46
გამოყენებული ლიტერატურა-----	48

## შესავალი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ინგლისური ნეოლოგიზმები და მათი გავლენა თანამედროვე ქართულ ენაზე. ინგლისური ნეოლოგიზმების გავრცელება უმეტესწილად დაკავშირებულია გლობალიზაციის პროცესთან, რომელიც ინგლისურის, როგორც გლობალური ენის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რადგან თანამედროვე მსოფლიოში აუცილებელი გახდა ისეთი საერთო ენის არსებობა, რომელზეც საზოგადოების უმეტესი ნაწილი იმეტყველებდა.

ინგლისურ ენას დიდი მნიშვნელობა აქვს ოფიციალური შეხვედრების, საქმიანი მოლაპარაკებებისა თუ პოლიტიკური ხასიათის შეკრებისას. იგი დონორ ენად მე-19 საუკუნიდან გვევლინება.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე** მდგომარეობს შემდგომში: გამოვიკვლიეთ ინგლისური ნეოლოგიზმების გავრცელების ძირითადი სფეროები (მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, კომპიუტერული ტექნოლოგიები, მედიცინა, სპორტი, ბიზნესი, პოლიტიკა და შოუბიზნესი), ასევე მათი გავლენა თანამედროვე ქართულ ენაზე. აღმოჩნდა, რომ ჩვენ მიერ განხილული ყველა სფერო შეიცავს ნეოლოგიზმების საკმაოდ დიდ რაოდენობას, რაც განაპირობა ახალი ცნებებისა და გამოგონებების გაჩენამ.

**ნაშრომის აქტუალობას** განაპირობებს ჩვენს ეპოქაში მიმდინარე ენობრივი ცვლილებები. ცნობილია, რომ ენა მუდმივად იცვლება და ვითარდება, იზრდება მისი ლექსიკური მარაგი, რასაც განაპირობებს სხვადასხვა ენიდან სიტყვების შესხება.

ქართული ენა უძველესი დროიდან განიცდიდა სხვა ენების გავლენას, მისი ლექსიკური მარაგი ივსებოდა ნასესხები სიტყვებით. სიტყვათა შესხება ხდებოდა ძირითადად დამპყრობელი ქვეყნებისგან. ენობრივი ცვლილებები აისახება თანამედროვე ქართულ ენაზეც, რაზეც ერთგვარ გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი. გასულ საუკუნეში ქართული ლექსიკა სავსე იყო რუსული ბარბარიზმებით, დღეს კი ახალი სიტყვების გავრცელების მთავარ წყაროს ინგლისური ენა წარმოადგენს.

დღესდღეობით, ქართულში ნეოლოგიზმების შემოსვლა უფრო თვალსაჩინო და ინტენსიურია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. კვლევამ გვიჩვენა, რომ ნეოლოგიზმების გავრცელებაში განსაკუთრებული წვლილი ინტერნეტსა და მასმედიას მიუძღვის.

ნაშრომში ასევე განვიხილეთ ანგლიციზმების გავრცელების არეალი და მათი სიხშირე, რამაც ცხადყო, რომ ანგლიციზმების გამოყენება გამოწვეულია არა საჭიროების, არამედ ახალი ტენდენციების გამო.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა** განისაზღვრება იმით, რომ იგი საშუალებას გვაძლევს, გავარჩიოთ სხვადასხვა დარგობრივი ტერმინოლოგია. ამისათვის განვიხილეთ საზოგადოების საქმიანობის მრავალი სფერო და მოვიყვანეთ შესაბამისი მაგალითები.

დღესდღეობით, ქართულ ენაში ნეოლოგიზმების შემოსვლა უფრო თვალსაჩინო და ინტენსიურია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ამაზე დიდ გავლენას ახდენს როგორც გლობალიზაციის პროცესი, ასევე მედია-საშუალებების არსებობა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ინგლისური ნეოლოგიზმების პოპულარიზაციას ხელს უწყობს მასმედია, რადგან ახალი მოვლენების, იდეებისა თუ გამოგონებების გადმოსაცემად ჟურნალისტებისთვის აუცილებელი ხდება ახალი ტერმინების შემოღება. აქედან გამომდინარე, **სამაგისტრო ნაშრომის მიზანია** გამოვკვეთოთ სხვადასხვა სფეროში გამოყენებული ნეოლოგიზმები და მათი გამოყენების მაჩვენებელი თანამედროვე ქართულ ენაში.

**საკვლევი მასალა** მოიცავს ინგლისურ ნეოლოგიზმებს, რომლებიც საზოგადოების საქმიანობის სხვადასხვა სფეროზე აისახება.

**ნაშრომის სტრუქტურა** წარმოდგენილია შემდეგი სახით: შესავალი, ორი თავი, ქვეთავები და დასკვნითი ნაწილი.

**შესავალში** იკვეთება სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე. მასში ასევე განსაზღვრულია ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა, კვლევის მიზნები და მასთან დაკავშირებული მაგალითები, რომლებიც გვეხმარება მოცემული ნაშრომის ანალიზში.

**პირველ თავში** განხილულია ენის როლი საზოგადოების განვითარებაში და მისი ცვალებადობა. ასევე წარმოდგენილია სხვადასხვა უცხოური ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ქართულ ენაშია დამკვიდრებული.

**მეორე თავში** განხილულია ქართულ ენაში დამკვიდრებული ინგლისური ნეოლოგიზმები და მათი გავრცელების ძირითადი მიზეზები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (ტელევიზია, რადიო, პრესა, რეკლამა, სოციალური მედია) როლი და ინგლისური ნეოლოგიზმების გავრცელების ძირითადი სფეროები.

**ნაშრომის დასკვნით ნაწილში** განზოგადებულია ნეოლოგიზმების როლი თანამედროვე ქართულ ენაში.

## თავი I

### ენა, როგორც განვითარებადი მოვლენა

#### 1. 1. ენა და მისი განვითარების თანმდევი პროცესები

ენა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იგი საშუალებას აძლევს ადამიანებს გაუზიარონ ერთმანეთს აზრები როგორც სასაუბრო, ასევე წერილობითი სახით, დაამყარონ ურთიერთობა სხვადასხვა გვარის, ხალხის ან ერის წარმომადგენლებთან.

თავდაპირველად კომუნიკაციის საშუალებას მხოლოდ ენა წარმოადგენდა, ადამიანებმა არ იცოდნენ რა იყო მწერლობა, მაგრამ საუბარი შეეძლოთ. არნოლდ ჩიქობავა თავის წიგნში წერს: „წარმოუდგენელია ისეთი ვითარება, რომ ადამიანთა საზოგადოება არსებულებას და ენა კი არ ჰქონოდათ, ლაპარაკი არ შესძლებოდათ. ენის, როგორც ურთიერთობის საშუალების გარეშე, წარმოუდგენელია კაცობრიობის არსებობა მომავალშიც“ (ჩიქობავა ა., 2008:18).

ენა განაპირობებს ადამიანის ცნებით აზროვნებას, რომელიც სრულდება რომელიმე კონკრეტულ ენაზე. ენის როლი ადამიანისა და აზროვნების წარმოქმნის საქმეში მეტად მნიშვნელოვანია. მის გარეშე არც კონცეპტუალური აზროვნება იქნებოდა და არც ადამიანი. უმეტესად, ადამიანი მშობლიურ ენაზე აზროვნებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ არ შეუძლია სხვა ენაზე აზროვნება. ენა საზოგადოების გარეშე ვერ იარსებებს და ვერც საზოგადოება - ენის გარეშე.

ენა ასევე ცვალებადი მოვლენაა და მუდმივად ვითარდება. მისი ცვლილებების დანახვა შეგვიძლია, თუ ერთმანეთს შევადარებთ ერთი და იმავე ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპს. ერთი და იმავე ენის განვითარების პროცესში შესაძლოა თვალსაჩინოდ დავინახოთ სხვაობა ძირითადი ლექსიკური მარაგისა თუ გრამატიკული წყობის მხრივ. ცვლილება ეხება სიტყვათა ფორმებსა და მნიშვნელობებს, ასევე სიტყვათა შემადგენლობას, - მრავალი სიტყვა იკარგება და ჩნდება უფრო მეტი ახალი სიტყვა. შედარების შედეგად გავარჩევთ, თუ რა არის განმასხვავებელი, მაგალითად, ახალ ქართულსა და ძველ ქართულს შორის.

ენის ისტორიული ცვალებადობის ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ მოსახლეობის მიგრაციები, რაც ხელს უწყობს ენათა გავრცელებას მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას. ენის განვითარების ისტორიას ვერ გავიგებთ, თუ არ გვეცოდინება ამავე ენაზე მოსაუბრე საზოგადოების განვითარების ისტორია. ენის განვითარების ტემპიც სწორედ საზოგადოების განვითარების ტემპზეა დამოკიდებული. ადამიანთა საზოგადოება მუდმივად ვითარდება, ქვის ხანის შრომითი საქმიანობიდან დაწყებული დღევანდელ ეპოქამდე, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური ეპოქის სახელით არის ცნობილი. ამრიგად, ენამ დღემდე განვითარების ხანგრძლივი პროცესი გაიარა და პრიმიტიული ენებისგან ასობით თანამედროვე ენა ჩამოყალიბდა.

ენის ლექსიკური შემადგენლობა ნათლად ასახავს ცვლილებებს, რომელიც ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან აუცილებელია, ახალ საგანსა თუ მოვლენას ჰქონდეს შესაბამისი სახელწოდება, რომ სხვა ადამიანებთან აზრების გაზიარებისას შევძლოთ მის შესახებ რაიმეს თქმა. განვითარების პროცესში ძველი ენა იცვლება ახლით, ან წარმოიქმნება იმავე ენის ახალი ვარიანტი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ძველი ენა სრულიად მოისპობა. უნდა აღინიშნოს, რომ ენის განვითარების პროცესში ერთდროულად ვერ იარსებებს ახლად წარმოშობილი ენა და ძველი ენა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ ახალ ენას, მაგრამ მივიღებთ მათი გაერთიანებით წარმოქმნილ ენას, ანუ ძველი და ახალი ენა შეერწყმება ერთმანეთს.

არსებობს ენები, რომლებიც შეიძლება გავრცელებული იყოს ძალიან დიდ ტერიტორიაზე, მაგალითად ინგლისური ენა, რომელიც გავრცელებულია თითქმის ყველა კონტინენტზე. ასევე არსებობს ისეთი ენებიც, რომლებიც ძალიან პატარა ტერიტორიაზეა გავრცელებული, ასეთ ენებს კი ჯუჯა ენებს უწოდებენ. ენა ყოველთვის შეიცავს განსხვავებულ თემებს, თუნდაც იგი ძალიან პატარა ტერიტორიაზე იყოს გავრცელებული. გარემოების ცვლასთან ერთად იცვლება ენაც, და სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომძველი და ახალი თაობის მეტყველება განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ენის განვითარების პროცესში იკვეთება ორი ძირითადი სახის ცვლილება: **დიფერენციაციის** პროცესი და **ინტეგრაციის** პროცესი, რომლებიც სხვადასხვა

მიმართულებისაა. ეს პროცესები ენათა განვითარების ადრეული ეტაპიდანვე იჩენს თავს და მოქმედებს ენებში ყველგან და ყოველთვის.

დიფერენციაციის პროცესს (ახალი დიალექტების წარმოქმნა) თან სდევს ენის გავრცელება საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. ეს პროცესი იწვევს ერთი ენობრივი კოლექტივის წევრებს შორის კონტაქტების მოშლას, რაც ახალი დიალექტების წარმოქმნას უწყობს ხელს. ახალი დიალექტები კი დროთა განმავლობაში შესაძლოა ცალკეულ ენებადაც კი ჩამოყალიბდნენ. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ლათინური ენა, რომელიც რომის იმპერიის დაცემის შემდეგ დიალექტებად დაიშალა, ეს დიალექტები კი მოგვიანებით დამოუკიდებელ ენებად გადაიქცნენ (ფრანგული, ესპანური, იტალიური და სხვა).

დიფერენციაციის საპირისპიროა ინტეგრაციის (გაერთიანების) პროცესი, რაც დიალექტობრივი სხვაობების მოშლას და საერთო ნაციონალური ენის ჩამოყალიბებას გულისხმობს. ეს პროცესი, დიფერენციაციის პროცესისგან განსხვავებით, კონტაქტებს აძლიერებს. დიალექტობრივი სხვაობების მოშლის შესაძლებლობა დამოკიდებულია ენობრივი კოლექტივის შიგნით არსებულ კონტაქტებზე.

ენათა შორის არსებულ ხანგრძლივ ისტორიულ-კულტურული კონტაქტების ურთიერთგავლენას ხშირად თან სდევდა ენობრივ ფორმათა სესხება. ენობრივი კონტაქტები სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. ამის გამოსავლენად განვიხილოთ ინგლისური ენის მაგალითი. ინგლისური ენის თავდაპირველი კონტაქტები უკავშირდება კელტურ ენებს. მათი კონტაქტი იწყება V საუკუნიდან, როდესაც ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ტომები ბრიტანეთის კუნძულებზე შეიჭრნენ, სადაც კელტურ ენებზე მოსაუბრე ადგილობრივი მოსახლეობა დახვდათ. კელტებმა დროთა განმავლობაში აითვისეს დამპყრობელთა ენა, ინგლისურმა ჩაანაცვლა კელტური ენა და მთელი მოსახლეობის საერთო ენა გახდა.

განსხვავებულად განვითარდა მოვლენები მე-11 საუკუნეში, როდესაც კუნძულზე შეჭრილმა ნორმანთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა მოახერხა პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება. მართალია, გარკვეული დროით ნორმანულმა ფრანგულმა გაიდგა ფესვები ინგლისის მოსახლეობის მცირერიცხოვან ჯგუფში, თუმცა ინგლისურმა ენამ განდევნა დამპყრობელთა ენა. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი

მოსახლეობა ურთიერთობას ინგლისურ ენაზე განაგრძობდა, ხოლო ფრანგულიდან გავრცელდა მხოლოდ ადმინისტრაციული მართვის ტერმინები. ასეთი სიტყვებია: country (ქვეყანა), government (მთავრობა), nation (ერი), state (სახელმწიფო), parliament (პარლამენტი) და სხვა. ფრანგულმა ენამ თავისი პრესტიჟული მდგომარეობის დამსახურებით ინგლისურში მოახდინა ფონოლოგიური სისტემის ერთგვარი მოდიფიკაცია.

განვიხილოთ ასევე ინგლისურისა და სკანდინავიური ენების კონტაქტები, რომელიც IX-XI საუკუნეებში მიმდინარეობდა. ეს ორი ენა ერთდროულად არსებობდა, ამიტომ მათი ურთიერთგავლენა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბილინგვიზმის, ანუ ორენოვნების მაგალითი. სკანდინავიური გავლენა დიდხანს არ გაგრძელებულა, თუმცა გარკვეული კვალი დატოვა ინგლისურში. მისი წყალობით ინგლისურ ენაში შემოვიდა საყოველთაოდ გავრცელებული ლექსიკა. მაგალითად: sky (ცა), gift (ძღვენი), wrong (მცდარი), die (კვდომა), take (აღება), want (სურვილი) და სხვა. ინგლისურმა ენამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ლექსიკისა თუ გამარტივებული გრამატიკის თვალსაზრისით, თუმცა საბოლოოდ, ამ ორენოვნებიდან ინგლისურმა გაიმარჯვა და დამკვიდრდა „ერთენოვნება“ სკანდინავიურის ხარჯზე.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენათა ხშირი კონტაქტები იწვევს როგორც დადებით, ასევე უარყოფით შედეგებს. დადებითად შეიძლება შევაფასოთ ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების თვალსაზრისით, ხოლო უარყოფით შედეგს იწვევს, როდესაც ხდება ბარბარიზმებისა და კალკების საჭიროების გარეშე გამოყენება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ენა აუცილებლად დანაგვიანდება, რადგან ენას გააჩნია თვითგაწმენდის ფუნქცია. ასევე ცნობილია, რომ ერი ხშირად უარს ამბობს სიტყვების სესხებაზე იმ ხალხისგან, ვისგანაც განიცდის ზეწოლას.

„ამ თვალსაზრისით საინტერესო ფაქტებს იძლევა ჩვენი ისტორია და სინამდვილე. მუსულმანიზმის ძალმომრეობის ეპოქაში (VIII-XI საუკუნეები) ქართულ ენაში არსებითად არ არის დამოწმებული მასობრივი სესხება აღმოსავლური (სპარსული, არაბული) ენებიდან. მაგრამ აღმოსავლურ სიტყვებს ფართოდ გაეღო კარი მაშინ, როცა ძალმომრეობის საშიშროება აღარ იყო (XI-XII საუკუნეები)“ (ჯორბენაძე ბ., 1997).

## 1. 2. გლობალიზაცია და მისი გავლენა ენის განვითარებაზე

21-ე საუკუნეში ფართოდ გავრცელდა ცნება „გლობალიზაცია“, რომელიც მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე საერთოდ არ არსებობდა. ტერმინი „გლობალიზაცია“ (1.ინგ. Globe – დედამიწა, გლობუსი; 2. ფრანგ. Global – საერთო, საყოველთაო) გულისხმობს თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული პროცესების ერთობლიობას, რომელიც აახლოებს ქვეყნებსა და კონტინენტებსაც კი.

ტერმინი „გლობალიზაცია“ პირველად ამერიკელმა მეცნიერმა თეოდორ ლევიტამ გამოიყენა 1983 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „Harvard Business Review“, სადაც ამ ტერმინით აღინიშნა მსხვილი კორპორაციების მიერ სხვადასხვა პროდუქციის ბაზრების შერწყმის ფენომენი. 1990 წლიდან კი ეს ტერმინი ფართო მნიშვნელობით გამოიყენება, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა იაპონელი კონსულტანტის კ. ომეს წიგნი „მსოფლიო საზღვრების გარეშე“ და კრებული „გლობალიზაცია: შემეცნება და საზოგადოება“, რომლის შინაარსიდანაც გლობალიზაციას წარმოვიდგენთ, როგორც პროცესს ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ. თავდაპირველად გლობალიზაცია წმინდა ეკონომიკური მნიშვნელობით გამოიყენებოდა, დროთა განმავლობაში კი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო (სოციალური, კულტურული, პოლიტიკური) მოიცვა.

მეცნიერთა შორისაც კი ჩნდება აზრთა სხვადასხვაობა გლობალიზაციის შესახებ. შესაბამისად, მისი ზუსტი, ამომწურავი განმარტება არ არსებობს. გლობალიზაციის ერთ-ერთი პირველი განმარტება ეკუთვნის მარტინ ელბროუს (დავითაშვილი ზ., 2003:186). მისი აზრით, გლობალიზაცია მოიცავს ყველა იმ პროცესს, რომელიც მსოფლიოს ხალხებს გადააქცევს ერთიან, გლობალურ საზოგადოებად. დღევანდელი მეცნიერების ნაწილი თანამედროვე სამყაროს გლობალურ სამყაროდ მიიჩნევს, ეპოქას კი - გლობალიზაციის ეპოქად.

გლობალიზაცია ხუთი სხვადასხვა შინაარსით შეიძლება განვიხილოთ. ესენია:

1. ინტერნაციონალიზაცია - სახელმწიფოთა შორის კავშირების გააქტიურება;

2. ლიბერალიზაცია - სახელმწიფოებრივი შეზღუდვების მოხსნა, ღია ეკონომიკა და მოსახლეობის თავისუფალი მიმოსვლა;
3. უნივერსალიზაცია - მატერიალური ღირებულებების ფართოდ გავრცელება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში;
4. ვესტერნიზაცია - დასავლური კულტურის გავრცელება მთელ მსოფლიოში;
5. დეტერიტორიზაცია - ტერიტორიული საზღვრების მოშლა, გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და მანძილის პირვანდელი მნიშვნელობის დაკარგვა.

ზურაბ დავითაშვილი გლობალიზაციასთან დაკავშირებით განიხილავს ჯ. ბაილისის და ს. სმიტის მოსაზრებას. მათი აზრით, დღევანდელი მსოფლიო შესაძლებელია ერთდროულად იყოს ინტერნაციონალიზირებულიც და გლობალიზირებულიც, თუმცა, ამასთანავე ერთმანეთისგან განასხვავებენ გლობალიზაციას და ინტერნაციონალიზაციას. ისინი მიიჩნევენ, რომ ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ურთიერთობების ინტენსიფიკაციას ნაციონალურ დონეზე, რაც ნიშნავს, რომ ნაციონალურ ურთიერთობებში სახელმწიფოები ერთმანეთისგან განსხვავებული რჩებიან მაშინაც კი, თუ ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ამის საპირისპიროდ, გლობალური მსოფლიოსთვის საზღვრები საერთოდ არ არსებობს (დავითაშვილი, 2003:187). გლობალიზაცია ნიშნავს არა მსოფლიო სახელმწიფოს არსებობას, არამედ მსოფლიო საზოგადოებას მსოფლიო სახელმწიფოს გარეშე.

გლობალიზაცია რთული პროცესია, რომელიც სხვადასხვა ასპექტით უნდა განვიხილოთ. ერთმანეთისგან განასხვავებენ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გლობალიზაციას, თუმცა თითოეული ასპექტი ერთი მოვლენის განსხვავებული განშტოებაა.

**პოლიტიკური ასპექტი** გვიჩვენებს, რომ გლობალიზაციის პროცესი მიმართულია ერი-სახელმწიფოების გაერთიანებისკენ, რათა ერთობლივი ძალისხმევით შეაჩერონ მსოფლიოში არსებული პრობლემები. აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება.

**სოციალური ასპექტის** კვლევისას შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე მიმართულება, მათ შორის მიზეზები, რის გამოც მიგრირებულ ადამიანთა რიცხვი

შესამჩნევად გაიზარდა. ეს მიზეზები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, თუმცა უფრო მეტად გასათვალისწინებელია ეკონომიკური ფაქტორი.

**კულტურული ასპექტი** გლობალიზაციის პროცესს უკავშირებს მსოფლიო კულტურის ცვლილებას. ეს ცვლილებები კი ორი ძირითადი გზით უნდა განვიხილოთ. მკვლევართა დიდი ნაწილი კულტურულ გლობალიზაციას და ამერიკანიზაციას ერთმანეთთან აიგივებს. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია შეერთებული შტატების მედიის როლი, ასევე ინტერნეტ-სივრცე, სადაც ნათლად ჩანს ინგლისური ენის უპირატესობა.

ამ პროცესთან დაკავშირებით არსებობს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეხედულებებიც. ერთი მხრივ, გლობალიზაცია პროგრესული პროცესია, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს, ხოლო მეორე მხრივ, საფრთხეს უქმნის ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოს, ერებს და მათ კულტურულ თავისებურებებს.

გლობალიზაცია ემყარება საზოგადოებათა ურთიერთობას, აქედან გამომდინარეობს ამა თუ იმ საზოგადოების ღირებულებების გასაყოველთაოება. საზოგადოების ღირებულებები საყოველთაო რომ გახდეს, აუცილებელია სხვა საზოგადოებებმა გაიციონ, ამისთვის კი საზოგადოებათა კონტაქტია საჭირო.

მრავალი ერის და მათი ორიგინალური კულტურის ჩამოყალიბება განაპირობა იმან, რომ ადრეულ პერიოდში მსოფლიო დაყოფილი იყო და არ წარმოადგენდა ერთიან სივრცეს, შესაბამისად სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ ურთიერთობა და არ იცნობდნენ ერთმანეთის კულტურებს. ისინი საუკუნეების განმავლობაში საკუთარი ეროვნული კულტურის მეშვეობით ინარჩუნებდნენ თვითმყოფადობას. დღეს მსოფლიო უსაზღვრებო, ერთიან სივრცეს წარმოადგენს. თუმცა საზოგადოების ნაწილი მიჩნევს, რომ გლობალიზაციის პროცესში ხდება მხოლოდ სხვადასხვა კულტურათა გაცნობა და იგი ვერ შეცვლის კულტურების ეროვნულ სახეს.

ბოლო პერიოდში გლობალიზაციის პროცესები კიდევ უფრო დაჩქარდა და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალი ფორმით იჩინა თავი. შეიძლება ითქვას, რომ გლობალური კულტურის ჩამოყალიბების ცენტრში ინტერნეტი მოექცა. ერთ-ერთი მარკეტინგული ფირმის ვიცე პრეზიდენტის, გიგი ვანგის მიხედვით, ინტერნეტი ხელს

უწყობს გლობალური კულტურის შექმნას (წერეთელი, კაკიტელაშვილი, 2006:66). მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა ათასობით კილომეტრის დაშორებით ურთიერთობის დამყარება, სხვადასხვა ხმოვანი თუ ვიდეო ფაილების, ციფრული ფოტოების, შეტყობინებების, ელექტრონული წიგნების გაგზავნა. ცხოვრების ჩვეული სტილი თითქმის ჩაანაცვლა ინტერნეტმა, რადგან ადამიანური ურთიერთობები, რომლებიც შეიძლება დამყარდეს ქუჩაში, სკოლაში ან სამსახურში, ახლა უკვე ინტერნეტის საშუალებითაც შეიძლება განხორციელდეს.

გლობალიზაციას, ანუ სხვადასხვა ერების დაახლოებას თან ახლავს ენის ბარიერი. თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში აუცილებელი გახდა ისეთი საერთო, გლობალური ენის არსებობა, რომელიც ყველასთვის იქნება გასაგები და ხელს შეუწყობს ურთიერთობას სხვადასხვა ერებს შორის. რომელიმე ადგილობრივი ენა შეიძლება გახდეს გლობალური ენა, როდესაც ამ ენაზე მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი საუბრობს. ასეთ ენას ინგლისური ენა წარმოადგენს, რომელსაც “Lingua Franca”-ს, ანუ საერთო ენას უწოდებენ.

ინგლისური ენა უდიდეს როლს ასრულებს საერთაშორისო პოლიტიკური ხასიათის შეკრებებისას, იგი ასევე ითვლება ერთადერთ ოფიციალურ ენად, რომლის მეშვეობითაც ხდება ნავთობის ექსპორტირება სხვადასხვა ქვეყნებში. ინგლისური ენა აქტიურად გამოიყენება მოლაპარაკებების წარმოებაში, განათლებაში, ეკონომიკაში, მეცნიერებაში და ა.შ. იგი ძალიან სწრაფად და ფართო არეალზე ვრცელდება, რასაც სხვადასხვა გარემოებები უწყობს ხელს, მათ შორის ინგლისურ ენაზე არსებული მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურა, სარეკლამო წარწერები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ა. შ.

ინტერნეტის დომინანტ ენადაც სწორედ ინგლისური ითვლება. ამის მარტივ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ჩანაწერები. იმისათვის, რომ ჩანაწერი ყველა (სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე) მეგობრისთვის თანაბრად გასაგები იყოს, ტექსტის დაწერა ძირითადად ინგლისურ ენაზე ხდება, ან ტექსტის ბოლოს დამატებული აქვს ფუნქცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია თარგმანის ნახვა სასურველ ენაზე.

ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანები, რომლებმაც იციან ინგლისური, როგორც მეორე ენა, მეტი უპირატესობა აქვთ იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებმაც არ იციან ეს ენა. ინგლისურის მცოდნე ადამიანთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, რაც გლობალიზაციის ერთ-ერთ შედეგად გვევლინება.

გლობალიზაციის პროცესის თანმდევი მოვლენები რაღაც მხრივ იწვევენ ეროვნული კულტურების დასუსტებას, მათ შორის ეროვნული ენის მნიშვნელობის დაკარგვას. ამიტომ, ინგლისურის, როგორც გლობალური ენის წარმოქმნასთან დაკავშირებით განიხილავენ ასევე მოსალოდნელ რისკებსაც. სხვადასხვა ერთა და ენათა შორის ხშირი ურთიერთობები გლობალურ ხასიათს იძენს, რაც მეტად ართულებს ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებას. გლობალური ენის არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა ენებისადმი უინტერესობა, ან საგრძნობლად შეამციროს მათი შესწავლის შესაძლებლობა. ამის შედეგად, შესაძლოა არსებობა შეწყვიტოს ისეთმა ენებმა, რომლებიც უმცირესობაშია.

ს. სიგუა მიიჩნევს, რომ „გლობალისტები ებრძვიან სახელმწიფო ენას და ცდილობენ მის დაკნინება-დანაგვიანებას. საქართველოში ქართული ენა ფიქსირდება სახელმწიფო ენად, მაგრამ კანონი ვერ მიიღეს. მკვეთრად შეიზღუდა უნივერსიტეტებში ქართული ენის სწავლების არეალი, პრესა და ტელევიზია ამკვიდრებენ მღვრიე, ბარბარიზებულ მეტყველებას და ამას ამართლებენ სიტყვის თავისუფლებით“ (სიგუა ს., 2013:39).

### **1. 3. ენობრივი სესხების ფორმები**

ენის ლექსიკური მარაგის შევსების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს სხვა ენებიდან სიტყვების სესხება და დამკვიდრება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენა მუდმივად იცვლება და ვითარდება, ლექსიკური მარაგი ივსება ახალი სიტყვებით, მოძველებული სიტყვები კი ხმარებიდან გამოდის.

სესხებას, ანუ ენობრივ ერთეულთა ერთი ენიდან მეორეში გადატანას იწვევს ხალხთა შორის არსებული კულტურულ-ისტორიული კონტაქტები, ასევე ახალი ცნებებისა და სიტყვების წარმოშობის გამო საჭირო ხდება ენაში ახალი სიტყვების

წარმოქმნა. აქედან გამომდინარე, ენაში ჩნდება ახალი ენობრივი ერთეულები. გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს მკვიდრი და ნასესხები მასალის ერთმანეთისგან გარჩევა, რადგან ხშირად ენა იმდენად ითვისებს და ეგუება ახალ სიტყვებს, რომ აღარც კი ჩნდება ეჭვი მათ წარმომავლობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ენა, რომელსაც სხვა ენიდან არც ერთი სიტყვა აქვს ნასესხები. მაგალითად, ინგლისური ენის მკვიდრი ლექსიკური ერთეულები დაახლოებით 25-30 პროცენტისგან შედგება.

ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელზეც გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარება. სიტყვების სესხება კი ამდიდრებს ამა თუ იმ ენის ლექსიკურ მარაგს. ნასესხები სიტყვების ადაპტაცია, ანუ შეგუება ენაში დამოკიდებულია მათი გამოყენების სიხშირეზე. ახალი სიტყვა მარტივად დამკვიდრდება, თუკი მას ბევრი ადამიანი იყენებს საუბრის დროს, დროთა განმავლობაში გახდება ყოველდღიური სიტყვა და შესაბამისად, ლექსიკონშიც დაიკავებს ადგილს.

გამოყოფენ ნასესხობათა სამ ჯგუფს, ესენია: სრულად ადაპტირებული, ნაწილობრივ ადაპტირებული და არაადაპტირებული ნასესხობები.

1. **სრულად ადაპტირებული ენობრივი ერთეულები** შეიძლება ხასიათდებოდეს მკვიდრი ერთეულების გამოდევნის ფუნქციით (მაგალითად, ქართული სიტყვა „სენაკი“ გამოდევნა და ჩაანაცვლა თურქულმა სიტყვამ „ოთახი“);
2. **ნაწილობრივ ადაპტირებული ერთეულების** შემთხვევაში შეიძლება გამოვლინდეს ფონეტიკური ან გრამატიკული თავისებურებები;
3. **არაადაპტირებული ენობრივი ერთეულები** ძირითადად სპეციალურ ტერმინოლოგიურ ლექსიკას მიეკუთვნებიან (მაგალითად, სიტყვა „ბარბეკიუ“ - ინგ. barbecue - პიკნიკი ან სტუმრების მიღება ღია ცის ქვეშ).

თანამედროვე ქართულ ენაში უკვე რამდენიმე წელია ფეხს იკიდებს ინგლისურიდან ნასესხები სიტყვები, რომელთა დაყოფაც შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად:

1. ლექსიკური, ანუ პირდაპირი სესხებით შემოსული ერთეულები;
2. ტრანსლიტერირებული, ანუ არაპირდაპირი სესხებით შემოჭრილი ერთეულები;

3. სემანტიკური სესხებით შემოსული ერთეულები (Davitishvili, 2018).

**ლექსიკური, ანუ პირდაპირი სესხება** ხდება, როდესაც ქართული ენა ითვისებს ინგლისურ სიტყვას თავისი ფორმითა და მნიშვნელობით, ან ნაწილობრივი მნიშვნელობით. პირდაპირი სესხებით შემოსული სიტყვები თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად:

- 1) ნასესხები სიტყვები, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ ინგლისური გამოთქმა და ფორმა. ანგლიციზმთა ეს ჯგუფი აერთიანებს სხვადასხვა ტერმინოლოგიურ ლექსიკას. მაგალითად: „ოფის-მენეჯერი“ (office manager), ბილბორდი (billboard) და სხვა;
- 2) ნასესხები აკრონიმები, რომლებსაც ქართულ ენაში აქვთ იგივე გამოთქმა და ფორმა, როგორც ინგლისურში. მაგალითად: ესემესი (SMS), ბიბისი (BBC), ნატო (NATO) და სხვა.

პირდაპირი სესხებით შემოსული ინგლისური სიტყვების უმრავლესობა წარმოადგენს არსებით სახელებს, რომლებიც ახალ საგნებსა თუ ცნებებს აღნიშნავს. შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ვხვდებით ინგლისურიდან შემოსულ ზმნებსა და ზედსართავ სახელებს, რომლებსაც ქართული ენის წესების შესაბამისი სიტყვათა წყობა აქვთ. მაგალითად: ადაპტირება (adapt), ტესტირება (test), აქტიური (active) და სხვა.

**ტრანსლიტერაციის, ანუ არაპირდაპირი სესხების დროს** ხდება ანგლიციზმების ფორმათა სესხება, ანუ ინგლისური ეტიმონების თარგმნის შედეგად მიიღება შესაბამისი ქართული სიტყვათშეთანხმება. შეგვიძლია გამოვყოთ ტრანსლიტერირებული ანგლიციზმების რამდენიმე ჯგუფი:

1. კალკი გულისხმობს უცხოური ენობრივი ერთეულების სიტყვა-სიტყვით

თარგმნას. მაგალითად, „კომუნიკაციაში ყოფნა“ კალკია ინგლისური გამოთქმისა “to be in communication”. „კალკი უცხოური ნიმუშით და საკუთარი მასალით შედგენილი ენობრივი ერთეულია, მას მხოლოდ სტრუქტურა აქვს ნასესხები“ (გამყრელიძე, 2008:392); მაგალითად:

ცივი ომი - Cold War, პირველი ლედი - First lady, სავაჭრო ნიშანი - Trademark.

2. ნახევარკალკი, როდესაც ენობრივი ერთეულები ნაწილობრივ არის ნათარგმნი, მაგალითად: პირადი მცველი (bodyguard), ავიაფოსტა (airmail) და სხვა;
3. სიტყვაწარმოებითი კალკები, რომლებიც მიიღება დონორი და მიმღები ენების ელემენტთა შერწყმით. მაგალითად: ავტომოპასუხე (autoresponder), ვებგვერდი (website), თვითკრიტიკა (self-criticism) და სხვა.

ხშირად ერთმანეთის პარალელურად იხმარება კალკი და ნასესხობა. მაგალითად:

ნატურალური - ბუნებრივი, პოზიტიური - დადებითი

**სემანტიკური სესხება** მიმდინარეობს, როდესაც ინგლისური ენიდან ხდება უმეტესად ერთი ან ორი მნიშვნელობის სესხება. ტერმინი „მნიშვნელობის სესხება“ გულისხმობს ლექსიკურ ერთეულთა გაფართოებული მნიშვნელობით შემოსვლას ენარეციპიენტში. ასეთ მაგალითს წარმოადგენს ქართული სიტყვა „თაგვი“ (ინგ. Mouse), რომელიც კომპიუტერული მიმართულებით განიხილება და ნიშნავს პატარა მოწყობილობას, რომელიც გვეხმარება კომპიუტერის ეკრანზე კურსორის მოძრაობაში. ამ სიტყვის ახალი მნიშვნელობა გაფართოვდა და შემოვიდა ქართულში როგორც „კომპიუტერის თაგვი“ (computer mouse).

ენობრივი სესხების კიდევ ერთ ფორმას წარმოადგენს **ფსევდო-სესხება**. ამ ფორმით ნასესხები სიტყვების ან სიტყვათა ელემენტების დამკვიდრება ხდება ინგლისური ენიდან, თუმცა ასეთი ლექსიკური ერთეულები ინგლისურში ფაქტობრივად არ მოიძებნება. ქართულში ასეთი ფსევდო-ანგლიციზმის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია „კლიპ-მეიკერი“ (clip-maker), ეს სიტყვა კი ინგლისურ ენაში განიმარტება, როგორც „video director“.

არსებობს ნასესხები სიტყვების გავრცელების რამდენიმე მიზეზი:

- 1) მთავარ მიზეზად ითვლება ენაში ახალი ცნების აღმნიშვნელი სიტყვის არარსებობა. ენა შეიძლება მზად იყოს საკუთარი რესურსით დაამკვიდროს ახალი სიტყვა, ან როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემოიტანოს ახალი ცნების აღმნიშვნელი უცხო სიტყვა;

- 2) სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა, როდესაც ენაში უკვე არსებობს, მაგრამ ზედმიწევნით არ აღნიშნავს ახლებურ მნიშვნელობას. ასეთი ტიპის სიტყვებს შეიძლება ვუწოდოთ ნეოლოგიზმები;
- 3) საერთაშორისო ურთიერთობების გაზრდა, რისთვისაც ინგლისურისა და სხვა უცხო ენის ცოდნა მნიშვნელოვანია;
- 4) ენაში არსებული სიტყვების ჩანაცვლება ნასესხები სიტყვებით, რადგან ისინი უფრო მოკლე და ადვილად წარმოსათქმელია;
- 5) თავის წარმოჩენის მიზნით მათი გამოყენება, ძირითადად ახალგაზრდებს შორის, როდესაც სურთ, ხაზი გაუსვან ინგლისურის ცოდნას. ამ შემთხვევაში ძირითადად იყენებენ ბარბარიზმებს;

სადავო საკითხს წარმოადგენს, დადებითია თუ უარყოფითი ენობრივი სესხების პროცესი. ხშირ შემთხვევაში, ენობრივი ერთეულების სესხება გამართლებულია მხოლოდ საჭიროების დროს, როდესაც ენაში არ არსებობს შესაბამისი სიტყვა. ხოლო დაუშვებლად მიაჩნიათ მაშინ, როდესაც ენაში მოიძებნება მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა. თეორიულად, ნასესხები სიტყვები შეიძლება ენის განვითარებისთვის ხელისშემწეობ ფაქტორადაც განიხილოს, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც სირთულეს წარმოადგენს იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც არ იციან უცხო ენა.

#### **1. 4. უცხოური ლექსიკური ერთეულები ქართულ ენაში**

ქართული ენა ლექსიკის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იგი ყოველთვის განიცდიდა სხვა ენების გავლენას და ამით აიხსნება მრავალი ნასესხები სიტყვის არსებობა. მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა წიგნური გზით თუ ენობრივი ურთიერთობის შედეგად აღმოსავლური ქვეყნებიდან შემოსულმა სიტყვებმა. საუკუნეების წინ ქართულ ენაში სხვადასხვა მიზეზით შემოიჭრა სიტყვები ბერძნული, სპარსული, არაბული, თურქული, სომხური თუ რუსული ენებიდან და მათი უმრავლესობა არათუ დავიწყებას მიეცა, არამედ მათი გარჩევა წმინდა ქართული სიტყვებისგან საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენს.

ქართველთა და არაბთა ურთიერთობა ისლამის პირველივე წლებიდან მყარდება. არაბული სიტყვები დაახლოებით VIII საუკუნიდან ჩნდება ქართულ ენაში, თუმცა

ზოგმა მათგანმა დიდხანს ვერ მოახერხა არსებობის შენარჩუნება. არაბული ლექსიკის დამკვიდრების პროცესი ქართულ ენაში გარკვეულ თავისებურებებს ავლენს. ქართულში დამკვიდრებისას არაბულ სიტყვებს ხშირ შემთხვევაში შენარჩუნებული აქვს ძირითადი მნიშვნელობა, გამონაკლის შემთხვევებში კი ხდებოდა დამატებითი მნიშვნელობის შექმნა. არაბული წარმოშობისაა შემდეგი სიტყვები: ნალი, არაყი, ბუხარი, ავზი, ალყა, ღარიბი, სუფრა, თაღლითი, მასხარა, ღალატი და სხვა.

საქართველოსა და სპარსეთს შორის არსებული ახლო კავშირების გამო ქართულ ენაში მრავალი ირანული ნასესხობა დამკვიდრდა. დაახლოებით XI საუკუნიდან იწყება ქართულ ენაში ახალი სპარსული სიტყვების შემოჭრა, რაც ძირითადად, განაპირობა სპარსული ლიტერატურისადმი დიდმა ინტერესმა. მათი უმრავლესობა დღემდე შემორჩა და ქართული ენის განუყრელი ნაწილი გახდა. სპარსული ენიდან შემოსული სიტყვებია: ანდაზა, აქანდაზი, თარსი, ჩანგალი, მინანქარი, ნუგბარი, მსუბუქი, ქაფი, ქაფქირი და ა.შ.

არაბულმა ენამ დიდი გავლენა იქონია სპარსულ ენაზეც, რაც განპირობებული იყო სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური თვალსაზრისით. ირანელებმა მცირე დროში შეითვისეს არაბული ენა და წერა, აქტიურად იყენებდნენ არაბულ ანბანს ლიტერატურაში. ამის გამო, რთულია დადგინდეს არაბული წარმოშობისაა თუ სპარსული ქართულში შემოსული ზოგიერთი სიტყვა. არაბულ-სპარსული წარმომავლობისაა სიტყვა „ასლი“, რომელიც გამოიყენებოდა ნამდვილის, ორიგინალის მნიშვნელობით, ასევე სიტყვა „დახლი“, რომელიც თავდაპირველად შემოსავალს ნიშნავდა. ასევე არაბულ-სპარსული ერთეულებია: დოვლათი, მუყაო, ნისია, ქისა, ხალათი, ამანათი.

ქართულ ენაში ხშირად გვხვდება ბერძნულიდან და ლათინურიდან შემოსული სიტყვებიც: არქეოლოგია, ტექნოლოგია, ლოგიკა, გენიოსი, ტერმინი, თეორია, თეატრი, ბიბლიოთეკა, პედაგოგი, ფსიქოლოგი, კატასტროფა, ტელეფონი, ჰიმნი, გრამატიკა, დიალოგი და სხვა. ლათინური და ბერძნული ენების ურთიერთკავშირი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე შეინიშნებოდა. იმ პერიოდში სამედიცინო ტერმინოლოგიის შექმნა სწორედ ამ ორ ენას უკავშირდება. ქართულ ენაში ლათინურიდან და ბერძნულიდან შემოვიდა მედიცინასთან დაკავშირებული ბევრი სიტყვა, მაგალითად:

ტემპერატურა, ქირურგია, ნარკოზი, სანიტარია, მედიკამენტი, რეგენერაცია, ვაქცინა, დიაგნოსტიკა, დონორი, ლაბორატორია, კარდიოგრამა და მრავალი სხვა.

წინა საუკუნეში განსაკუთრებით აქტუალური იყო რუსული ენიდან შემოსული ბარბარიზმები. იმ პერიოდში ქართული ენა სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა, რადგან საბჭოთა კავშირის ხელისუფლებისგან იყო მცდელობა, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა რუსულით ჩაენაცვლებინათ. ამის შედეგად, რუსული ბარბარიზმები ინტენსიურად გავრცელდა ქართულ ენაში და თითქმის ჩაანაცვლა კიდევ ქართული შესატყვისები. მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოყენება შესამჩნევად შემცირდა, ბევრი მათგანი დღესაც გვხვდება ყოველდღიურ საუბარში. რა თქმა უნდა, ბარბარიზმების სრულად ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ქვემოთ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

- „კნოპკა“ – кнопка (ღილაკი)
- „ნაუშნიკი“ – наушники (ყურსასმენი)
- „ბასეინი“ – бассейн (საცურაო აუზი)
- „პოლი“ – пол (იატაკი)
- „კრასკა“ – краска (საღებავი)
- „ნამიოკი“ – намёк (მინიმნება)
- „ჩაინიკი“ – чайник (ჩაიდანი)
- „სპალნა“ – спальная (საძინებელი)
- „კრესლო“ – кресло (სავარძელი)
- „ვეშოლკა“ – вешалка (ტანსაცმლის საკიდი)
- „კრიშა“ – крыша (სახურავი)
- „სპიჩკა“ – спичка (ასანთის ღერი)
- „ბუძელნიკი“ – будильник (მალვობარა)
- „ვინუჟდენი“ – вынужденный (იძულებული)
- „პადიეზდი“ – подъезд (სადარბაზო)
- „სვეტაფორი“ – светофор (შუქნიშანი)
- „ნაბორი“ – набор (ნაკრები)
- „კრუგი“ – круг (წრე)
- „მეშოკი“ – мешок (ტომარა)

ქართულ ენაში განსაკუთრებით შემორჩა ავტომობილთან თუ სამუშაო ხელსაწყოებთან დაკავშირებული ბარბარიზმები:

„ტორმუზი“ – тормоз (მუხრუჭი)

„რული“ – руль (საჭე)

„ცეპლენია“ – сцепление (გადაბმულობა)

„ბაგაჟნიკი“ – багажник (საბარგული)

„სიდენია“ – сиденье (სავარძელი)

„რემენი“ – ремень (ღვედი)

„რუჩნიკი“ – ручник (ხელის მუხრუჭი)

„შიტოკი“ – щиток (საფარი)

„ზაპასკა“ – запаска (სათადარიგო საბურავი)

„ატვიორკა“ – отвёртка (სახრახნისი)

„ბოლტი“ – болт (ჭანჭიკი)

„სვერლო“ – сверло (ბურღი)

„გვოზდი“ – гвоздь (ლურსმანი)

„კლუჩი“ – ключ (ქანჩის გასაღები)

ბარბარიზმი - ეს არის საჭიროების გარეშე უცხო ენიდან შემოსული ახალი სიტყვა, რომელსაც ენაში ერთი ან რამდენიმე შესატყვისი შეიძლება გააჩნდეს. მათ ხშირად იყენებენ გარკვეული სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები, რაც ძირითადად მოდის შედეგად არის განპირობებული. რასაკვირველია, ენობრივი ცვლილებები ბუნებრივი მოვლენაა და გვერდს ვერ ავუვლით, თუმცა ახალი სიტყვების გამოყენებისას სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რათა არ მოხდეს მშობლიური ენის დამახინჯება, დანაგვიანება.

## თავი II

### ინგლისური ნეოლოგიზმები ქართულ ენაში

#### 2. 1. ინგლისური ნეოლოგიზმები და მათი გავრცელების ძირითადი მიზეზები

ქართულ ენაში ახალი სიტყვების გავრცელების მხრივ არც ინგლისური ენა არ არის გამონაკლისი. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, დაამყარა ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნებთან პოლიტიკური, საქმიანი თუ ტურისტული კუთხით, რაც შეუძლებელი იქნებოდა ინგლისური ენის გარეშე. ამასთან ერთად, XXI საუკუნეში ტექნოლოგიების და ინტერნეტის როლი მკვეთრად გაიზარდა და სრულიად შეცვალა ცხოვრების ძველი სტილი.

ენის ლექსიკური მარაგის გაზრდა ბუნებრივი მოვლენაა, რადგან ახალი გამოგონებების, ნივთებისა თუ ცნებების გაჩენასთან ერთად აუცილებელი ხდება მათთვის შესაბამისი სახელის მინიჭება. ამ მხრივ ქართულმა ენამ ბევრი სიტყვა შეითვისა, რადგან მის ლექსიკურ მარაგში არ მოიძებნებოდა მსგავსი ცნებების აღმნიშვნელი სიტყვები. მეტყველებაში გაჩნდა ისეთი სიტყვებიც, რომელთა უმრავლესი ნაწილის შესატყვისი ცნებები ენაში უკვე არსებობდა, თუმცა თანამედროვე ცხოვრებამ მათ დამკვიდრებას შეუწყო ხელი, რადგან უკვე არსებულთან შედარებით, ახალი სიტყვები წარმოსათქმელად უფრო მარტივია.

საინტერესოა თავად ინგლისური ენის განვითარების ისტორია, რომელიც საუკუნეების მანძილზე აქტიურად ითვისებდა ახალ სიტყვებს, რის შედეგადაც დაიხვეწა და გაფართოვდა მისი ლექსიკური მარაგი. ადრეულ პერიოდში მასზე დიდ გავლენას ახდენდა ლათინური ენა, რომლისგანაც ინგლისურმა ენამ შეიძინა უამრავი სიტყვა, როგორცაა: wine (ღვინო), church (ეკლესია), kitchen (სამზარეულო) და მრავალი სხვა. ამის შემდეგ ინგლისურ ენაში შემოიჭრა სიტყვები ფრანგულიდან: city (ქალაქი), constitution (კონსტიტუცია), state (შტატი). ფრანგულ ენას უკავშირდება ასევე სამეფო კარის სხვადასხვა წოდების აღმნიშვნელი სიტყვები, მაგალითად: duke (ჰერცოგი), baron (ბარონი), ასევე სამხედრო ტერმინები: war (ომი), officer (ოფიცერი), soldier (ჯარისკაცი) და სხვა.

ინგლისური დონორ ენად მე-19 საუკუნიდან გვევლინება, იმ პერიოდიდან, როდესაც გაიზარდა მისი როლი ევროპული ენების ლექსიკაში. ზოგადად, რაც უფრო დიდია შეხება ორ ენას შორის, მით უფრო მრავალფეროვანია მათი კონტაქტის სფეროები და სიტყვების სესხებაც უფრო თავისუფლად მიმდინარეობს. ურთიერთობის ახალი საშუალებების წყალობით მისი გავრცელების მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა მე-20 საუკუნიდან.

ნეოლოგიზმი (ბერძ. Neos - ახალი, logos - სიტყვა) არის ენაში ახლად გაჩენილი სიტყვა ან გამოთქმა. იგი ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. ყოველი ახალი სიტყვა ნეოლოგიზმად განიხილება გარკვეული დროის განმავლობაში. რთულია იმის დაზუსტებით თქმა, თუ რამდენ ხანს ითვლება ახალი ლექსიკური ერთეული ნეოლოგიზმად. უმეტესწილად, ეს საკითხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის დაიკავებს ახალი სიტყვა ლექსიკონში ადგილს და გახდება ამავე ენის ნაწილი.

ნეოლოგიზმების გავრცელების მიზეზები მრავალმხრივ შეიძლება განვიხილოთ. თუნდაც ის, რომ ქართული ენა დღეს აქტიურად არის ჩართული გლობალიზაციის პროცესში და შესაბამისად, ხდება ბევრი უცხო სიტყვის სესხება სხვადასხვა ენიდან, განსაკუთრებით კი ინგლისურიდან. საერთაშორისო კონტაქტების ზრდამ გამოიწვია ინგლისური ენის გავრცელება საქმიანობის ყველა სფეროში, რამაც ხელი შეუწყო ინგლისურიდან ნასესხები სიტყვების გამოჩენას.

აქვე უნდა ვახსენოთ ტურიზმის როლი ამ საკითხთან დაკავშირებით. საქართველოში ტურისტული სფეროს განვითარებამ წარმოშვა ინგლისურის, როგორც გლობალური ენის უფრო ინტენსიურად შესწავლის საკითხი. ძირითადად, ამ ტიპის კომუნიკაციები მოითხოვს თანამედროვე ლექსიკის ფლობას, საერთაშორისო სიტყვების გამოყენებას, რათა ადამიანებს გაუმარტივდეთ აზრების გაცვლა. ამიტომ ტურისტულ ტერმინოლოგიაში ინგლისურიდან მკვიდრება სიტყვები, მაგალითად:

ტენტი - tent (ტილოს ფარდული, მზისგან და წვიმისგან დასაცავად);

კემპინგი - camping (ავტოტურისტებისთვის მოწყობილი ბანაკი);

ტურიზმი - tourism (მოგზაურობა ამა თუ იმ მხარის, ქვეყნის გაცნობისა და დასვენების მიზნით);

ვიზიტორი - visitor (სტუმარი, დამთვალიერებელი);

ტურ-ოპერატორი - tour-operator (პირი, რომელიც ასრულებს ტურისტული პროდუქტის ფორმირებასა და რეალიზაციას);

გიდი - guide (ტურისტების გამყოლი);

გესტ ჰაუსი - guest house (საოჯახო სასტუმრო).

კიდევ ერთ მიზეზად შეიძლება განვიხილოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ინგლისური ენის სწავლების უპირატესობა. ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში ინგლისური ენის შესწავლა სკოლაში სწავლების ადრეულ საფეხურზე იწყება. პირველ კლასელებს მშობლიურ ენასთან ერთად უხდებათ უცხო ენის, ინგლისურის შესწავლა. მათ ამ ასაკიდანვე აქვთ გააზრებული ინგლისური ენის განსაკუთრებულობა და მომდევნო წლებში ცდილობენ მის სრულყოფილად შესწავლას. ესწრებიან ინგლისურის შემსწავლელ დამატებით წრეებს, მონაწილეობას იღებენ გაცვლით პროგრამებში. ყოველივე ეს კი შეიძლება ჩაითვალოს ინგლისური ნეოლოგიზმების გავრცელების ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორად.

ნეოლოგიზმების გავრცელება დაკავშირებულია ასევე ყოველდღიური, საყოფაცხოვრებო ნივთების გამოგონებასთან. ვინაიდან ამ ნივთებს სჭირდებოდა შესაბამისი სახელწოდება, ქართულ ენას კი არ ჰქონდა ამისთვის საკმარისი რესურსი. წარმოგიდგინო რამდენიმე მაგალითს:

ფენი - fan (თმის გასაშრობი);

მიქსერი - mixer (ელექტრული ხელსაწყო კრემის ან ცომის მოსამზადებლად, კვერცხის ასათქვეფად);

გრილი- grill (სპეციალური მოწყობილობა ხორცის შესაწვავად);

ტოსტერი - toaster (პურის ნაჭრების შესაწვავი მოწყობილობა);

პლედი - plaid (დიდი, სქელი გადასაფარებელი, რომელსაც იყენებენ საწოლზე გადასაფარებლად).

კ. ლომიძეს თავის დისერტაციაში საინტერესოდ აქვს გადმოცემული ინგლისური ნეოლოგიზმების გავრცელების მიზეზები, რომლებიც **ლინგვისტური** და **ექსტრალინგვისტური** მიმართულებით წარმოგვიდგინა (ლომიძე კ., 2008:24).

ლინგვისტური მიზეზებიდან ასახელებს შემდეგ ფაქტორებს:

1. შესაფერისი ცნების საერთოდ არ ქონა ენის ლექსიკურ მარაგში. მაგალითად, სკანერი (scanner), ინტერნეტი (internet), კომპაქტ-დისკი (compact disc);
2. ზუსტი შესაფერისი სახელწოდების არ ქონა ენაში, როგორცაა: ბიზნესი (business), პენტჰაუზი (penthouse), პროდიუსერი (producer), ბრიფინგი (briefing);
3. სტილისტური ეფექტის უზრუნველყოფა, მაგალითად ანგლიციზმს „შოუ“ (show) განსხვავებული ეფექტი აქვს, ვიდრე „სანახაობას“;
4. დადებითი ან უარყოფითი კონოტაციების გამოხატვა, რომელიც ექვივალენტურ ერთეულს არ გააჩნია მსესხებელ ენაში. მაგალითად, „გადამყიდველთან“ შედარებით ანგლიციზმი „დილერი“ უფრო დადებითი კონოტაციის მქონე სიტყვაა;
5. ამა თუ იმ სფეროში ცნებათა სპეციალიზაციის საჭიროება. მაგალითად, „ბუცები“ (boots) უფრო კონკრეტულად გადმოსცემს სპორტული ფეხსაცმლის სახეობას, ვიდრე ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა „ფეხსაცმელი“.

ექსტრალინგვისტური მიზეზებიდან გამოკვეთს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა:

1. აშშ-ს როლი დღევანდელ მსოფლიოში და აქედან გამომდინარე, ინგლისური ენის მნიშვნელობის ზრდა;
2. მსოფლიოში ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების მასშტაბი, რაც განაპირობებს ანგლიციზმების გავრცელების ზრდას ;
3. საერთაშორისო ურთიერთობებისა თუ ეკონომიკის განვითარება;
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება.

## **2. 2. ნეოლოგიზმების გავრცელების ძირითადი საშუალებები**

ინგლისური ნეოლოგიზმების პოპულარიზაციას ხელს უწყობს მასმედია. ტერმინი „მასმედია“ გულისხმობს მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალებების ერთობლიობას, როგორცაა ჟურნალ-გაზეთები, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი, რეკლამა და ა. შ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სხვადასხვა კულტურებს შორის ერთგვარ კომუნიკაციურ ხიდს ქმნის. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებაში, ასევე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში მიმდინარე ცვლილებებში.

დღესდღეობით, ქართულში ნეოლოგიზმების შემოსვლა უფრო თვალსაჩინო და ინტენსიურია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ამაზე დიდ გავლენას ახდენს როგორც გლობალიზაციის პროცესი, ასევე მედია-საშუალებების არსებობა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ჟურნალისტები ახალი ამბების გაშუქებისას ხშირად აწყდებიან დაბრკოლებებს, რადგან ახალი მოვლენების, იდეებისა თუ გამოგონებების გადმოსაცემად აუცილებელი ხდება ახალი ტერმინების შემოღება. სწორედ ამიტომ ითვლება, რომ ჟურნალისტებს მიუძღვით მნიშვნელოვანი წვლილი ნეოლოგიზმების წარმოქმნასა და გავრცელებაში. აქედან გამომდინარე, მასმედია წარმოადგენს არამარტო ინფორმაციის წყაროს, არამედ ნეოლოგიზმების გავრცელების ეფექტურ საშუალებას.

„არც ერთი მოვლენა არ მოხდებოდა ისე, როგორც ის სინამდვილეში ხდება და არ იქონიებდა ამ სინამდვილეზე აქტუალურ გავლენას საინფორმაციო სასუალებათა, ანუ მედიის გარეშე. მედია საზოგადოებას ამცნობს და განუმარტავს, ართობს და ანათლებს,“ - ასე აფასებს მასმედიის როლს ნ. ლადარია (ლადარია, 2002:79).

ყოველდღიურად მსოფლიოს გარშემო ბევრი საინტერესო რამ ხდება. მასმედიის დანიშნულებაა საზოგადოებამდე მიიტანოს სხვადასხვა სახის სიახლე, იქნება ეს ინფორმაციული, შემეცნებითი თუ გასართობი. მილიონობით ადამიანი თავისუფალ დროს უყურებს სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემას, კითხულობს გაზეთს, ან მანქანით მგზავრობისას უსმენს რადიოს. თავისუფლად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ტელევიზიის, რადიოს და პრესის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალიან დიდია.

## პრესა

საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ტექნოლოგიებსა თუ მეცნიერებაში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენები პრესაზე სწრაფად ახდენს გავლენას. ვინაიდან პრესის დანიშნულებაა ადამიანებზე გავლენის მოხდენა, ავტორები მუდმივად ცდილობენ

გამოიყენონ ისეთი სიტყვები, რომლითაც საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობენ. ამის გამო, ისინი არ ერიდებიან ნეოლოგიზმების გამოყენებას.

ქართული პრესის ისტორია მე-19 საუკუნის პირველი ოცწლეულიდან იღებს სათავეს. პირველი გამოცემა იყო „საქართველოს გაზეთი“, რომელშიც ძირითადად ქვეყნდებოდა უცხოეთის ქრონიკა, პოპულარული რუსული მოთხრობების ნაწყვეტები, განცხადებები და სხვა მასალები. ქართულმა პრესამ იმ პერიოდიდან დღემდე განვითარების საკმაოდ დიდი გზა გაიარა. ქართულ პრესაზე რუსული ენის გავლენა აღარ იგრძნობა, სამაგიეროდ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ვხვდებით ნეოლოგიზმებს.

### რადიო და ტელევიზია

საზოგადოების ცხოვრებაში რადიო პირველად მე-19 საუკუნეში გამოჩნდა. პირველი საინფორმაციო გამოშვება კი 1920 წელს გადასცეს, რაც ხალხისთვის მანამდე წარმოუდგენელი რამ იყო.

რადიო მაუწყებლობა რეგულარულად გამოჩნდა ქართულ საზოგადოებაშიც. მან გაიარა ის სამი ძირითადი ეტაპი, რომელიც მედიის ყველა საშუალებისთვის არის დამახასიათებელი. ეს ეტაპებია:

1. წარმოშობა და ჩამოყალიბება;
2. ტექნიკური და შემოქმედებითი სიმწიფე;
3. შემდგომი სპეციალიზაცია, საკუთარი სპეციფიკის მაქსიმალური გამომჟღავნება ინფორმაციის სხვა საშუალებებთან კონკურენციის პირობებში.

„თუ პირველი ორი ეტაპი რადიომაუწყებლობის განვითარების შინაგანი კანონზომიერებით იყო განპირობებული, მესამე ეტაპი ძირითადად განაპირობა ტელევიზიის წარმოშობამ და საეთერო ჟურნალისტიკაში რადიომაუწყებლობის მონოპოლიზმის დასრულებამ“ (იბერი, მჭავანაძე, ტალახაძე, 2009:8).

მსოფლიოში ტელევიზიის არსებობა უკვე ერთ საუკუნეს ითვლის. ტელევიზია ერთ-ერთ საუკეთესო საინფორმაციო საშუალებას წარმოადგენს, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ხანმოკლე პერიოდში მან მოახერხა მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში შეჭრა და მათზე გავლენის მოხდენა.

რადიოსა და ტელევიზიის დროთა განმავლობაში განვითარებამ ძლიერი გავლენა მოახდინა ქართულ ენაზე. დღითიდღე იცვლება ჟურნალისტთა სამეტყველო ენა, რომელშიც აშკარად ჭარბობს ინგლისური ნეოლოგიზმები. ეს ფაქტი აშინებს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, რადგან თვლიან, რომ ქართული ენა გადაგვარების საფრთხის წინაშეა.

### **რეკლამა**

რეკლამა ინფორმაციის გავრცელების ისეთი სახეობაა, რომელიც გათვლილია საზოგადოების ფართო მასებისთვის, მათი ყურადღების მიპყრობისა და დაინტერესების მიზნით. ინფორმაციის გასავრცელებლად მრავალ საშუალებას მიმართავენ. ესენია: რადიო, ტელევიზია, ჟურნალები, გაზეთები, ინტერნეტი, ბილბორდები და ფილმები. სხვადასხვა სახის რეკლამებს შევხვდებით კომერციულ ფართებზე, ავტობუსებზე, მაღაზიებში.

რეკლამა ნეოლოგიზმების გავრცელების ერთ-ერთ წყაროდ მიიჩნევა. რეკლამის ენის კრეატიულობა განსაკუთრებით მის ლექსიკაზე აისახება. ინგლისური ნეოლოგიზმები აქტიურად გამოიყენება ქართულ სარეკლამო განცხადებებში, სხვადასხვა სავაჭრო მარკისა თუ პროდუქციის გამორჩეული მახასიათებლების დასახელებისას, რაც მათ უნიკალურობას უსვამს ხაზს. მაგალითად: Red Bull, Coca cola და სხვა.

### **სოციალური მედია**

ნაშრომში არაერთხელ აღვნიშნეთ ინტერნეტის როლი თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ინტერნეტმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ჩვენს ყოველდღიურობაში და თითქმის წარმოუდგენელია მის გარეშე არსებობა. მისი საშუალებით გამარტივდა მასმედიის შესაძლებლობები, რაც იმას ნიშნავს, რომ სასურველი ინფორმაციის მიღება არა მხოლოდ ტელევიზიის, რადიოს ან გაზეთის საშუალებით შეგვიძლია, არამედ ელექტრონულადაც.

დღესდღეობით სოციალურმა მედიამ თითქმის დაჩრდილა რადიო და ტელე-მაუწყებლობა. ინტერნეტ მედიის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ სხვა მედია

საშუალებებთან შედარებით უფრო მოსახერხებელია. მისი დამსახურებით, ნებისმიერ დროს მყისიერად შეგვიძლია გავეცნოთ მსოფლიოს გარშემო მომხდარ მოვლენებს, სხვადასხვა თემატიკურ ინფორმაციას, სტატიას და ა. შ.

გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადად ინტერნეტ სივრცე გამოირჩევა ნეოლოგიზმების გავრცელების მაღალი მაჩვენებლით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ინტერნეტ მედია კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ინგლისური ნეოლოგიზმების გავრცელებას თანამედროვე ქართულ ენაში.

### **2. 3. ანგლიციზმების გავრცელების არეალი და მათი სიხშირე**

ანგლიციზმი არის ნეოლოგიზმის ნაწილი და განიმარტება, როგორც ინგლისური ენიდან ნასესხები სიტყვა ან გამოთქმა. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ანგლიციზმი“ დაკავშირებულია სიტყვა ინგლისთან (England), არ გულისხმობს მხოლოდ ინგლისიდან შემოსულ სიტყვებს. მასში გაერთიანებულია როგორც ბრიტანიზმები, ასევე ამერიკანიზმები. მათი გავრცელება ძირითადად განპირობებულია ინგლისური ენის აქტუალურობით, ან თუნდაც მიმზამველობით და არა ახალი სიტყვების წარმოქმნის საჭიროებით.

ანგლიციზმების გამოყენება ყველაზე მეტად შეინიშნება ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს შორის, რომლებიც ფეხდაფეხ მიჰყვებიან თანამედროვეობას და სიახლეებს ადვილად ითვისებენ. დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს სხვადასხვა სოციალური ქსელი, რომლებიც ამარტივებს ადამიანებს შორის კომუნიკაციას. მათი მომხმარებლების დიდ რიცხვს სწორედ ახალგაზრდა თაობა შეადგენს, რომლებმაც ერთიანად აითვისეს ანგლიციზმების დიდი რაოდენობა. მაგალითად:

„დათაგვა“ (to tag) - მონიშვნა

„დაკლიკება“ (to click) - დაწკაპუნება

„დააფდეითება (to update) - განახლება

„დალოგინება“ (to log in) - სისტემაში შესვლა

„ექაუნთი“ (account) - მომხმარებლის ანგარიში

„დაუნლოუდი“ (to download) - ჩამოტვირთვა

„დაბუსტვა“ (to boost) - პოპულარობის გაზრდა, რეკლამის გაკეთება

- „დასინვა“ (to see/seen) - ნახვა
- „გაშეარება“ (to share) - გაზიარება
- „დაკოპირება“ (to copy) - ასლის გაკეთება
- „დალაიქება“ (to like) - მოწონება
- „ფასვორდი“ (password) - პაროლი
- „ფეიჯი“ (page) - გვერდი
- „ფიდბეკი“ (feedback) - გამოხმაურება
- „ფოლოუერი“ (follower) - მიმდევარი
- „დაფორვარდება“ (to forward) - გადაგზავნა
- „ვოლი“ (wall) - კედელი
- „მემორი“ (memory) - მოგონება
- „ჰაილაითი“ (highlight) - მნიშვნელოვანი მომენტი

ანგლიციზმები გაჩნდა სამსახურებრივ სფეროებშიც. მართალია, დღეს თითქმის ყველა ადამიანს გააჩნია ინგლისურის ცოდნა გარკვეულ დონეზე, თუმცა უნდა გამოიკვეთოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელსაც აწყდებიან სამსახურის მაძიებლები. პირველ რიგში, თვალშისაცემია სხვადასხვა დასაქმების საიტზე მოცემული ინგლისურენოვანი ვაკანსიები, ან სასურველი პოზიციების ჩამონათვალი, რომელთა მნიშვნელობა ყველასთვის გასაგები არ არის. ასევე ინტენსიურად ვაწყდებით სამსახურთან დაკავშირებულ სიტყვებს, რომელთა უმეტესობაც ანგლიციზმებით არის ჩანაცვლებული. მაგალითად:

- „კოლ-ცენტრი“ (call-centre) - სატელეფონო მომსახურების ცენტრი
- „აპლიკაცია“ (application) – განაცხადი
- „დეიოფი“ (day off) - ერთდღიანი შვებულება
- „თიმი“ (team) - გუნდი
- „თიმ ბილდინგი“ (team building) - ერთ გუნდად შეკვრა
- „რესეფშენისტი“ (receptionist) - მიმღები განყოფილების თანამშრომელი
- „ემერჯენსი“ (emergency) - სასწრაფო დახმარება
- „სტაფი“ (staff) - პერსონალი, თანამშრომლები
- „ლიდერშიპი“ (leadership) - ხელმძღვანელობა

- „დედლაინი“ (deadline) - ბოლო ვადა
- „კოოპერაცია“ (cooperation) - თანამშრომლობა
- „პოზიცია“ (position) - თანამდებობა
- „ქოფირაითერი“ (copywriter) - სარეკლამო განცხადებების/ტექსტების შემდგენელი
- „სუპერვაიზერი“ (supervisor) - ზედამხედველი
- „ბენეფიტი“ (benefit) - სარგებელი
- „ედიტორი“ (editor) - რედაქტორი
- „თრაბლშუთერი“ (troubleshooter) - პრობლემათა გადამჭრელი
- „მიტინგი“ (meeting) - შეხვედრა
- „ბრეიკი“ (break) - შესვენება

ანგლიციზმებს შევხვდებით საგანმანათლებლო სფეროშიც:

- „ქვიზი“ (quiz) - ტესტი
- „ფინალური“ (final) - დასკვნითი (გამოცდა)
- „გაიდლაინი“ (guideline) - გზამკვლევი
- „იუნიტი“ (unit) - ნაწილი, თავი (წიგნის)
- „კამპუსი“ (campus) - სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი
- „კოლეჯი“ (college) - უმაღლესი ან საშუალო სასწავლებელი

ყოველდღიურ ცხოვრებაში კიდევ უფრო ღრმად იდგამს ფესვებს ინგლისური სიტყვები. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს შემდეგი სიტყვები: „დასპოილერება“ (to spoil), რაც ნიშნავს, მაგალითად, ფილმის ყურებისას განვითარებული მოვლენების წინასწარ გამჟღავნებას; „ოკეი“ (Okay), რომელმაც წარმატებით ჩაანაცვლა ქართული სიტყვა „კარგი“; „ქრაში“ (crush) - ახალგაზრდა თაობისთვის მეტად აქტუალური სიტყვა, ასე უწოდებენ ადამიანს, რომელიც მოსწონთ, მაგრამ მან არ იცის ამის შესახებ; „ლუზერი“ (loser) - უიღბლო ადამიანი, რომელსაც არაფერი გამოსდის; „ბულინგი“ (bullying) - ვინმეს დაჩაგვრა, „ვერქაუტი“ (work out) - ვარჯიში; სეილი (sale) - ფასდაკლება; შოპინგი (shopping) - საყიდლებზე სიარული; „ჩელენჯი“ (challenge) - გამოწვევა; „ქეში“ (cash) - ნაღდი ფული, „სელებრითი“ (celebrity) - ცნობილი ადამიანი და მრავალი სხვა.

ანგლიციზმები დიდ გავლენას ახდენს უმცროსი ასაკის წარმომადგენლებზეც. მათ ადრეული ასაკიდანვე სხვადასხვაგვარი შეხება აქვთ ტექნოლოგიებთან, ინტერნეტთან, რისი საშუალებითაც უყურებენ სხვადასხვა გასართობ თუ შემეცნებით ინგლისურენოვან ვიდეოებს, ინტერესდებიან კომპიუტერული თამაშებით. ეს ყოველივე კი პირდაპირ კავშირშია ანგლიციზმების დიდი რაოდენობით გავრცელება-გამოყენებასთან. მათ სასაუბრო ლექსიკაში ხშირად შევხვდებით შემდეგ გამოთქმებს:

ნიკი, იგივე ნიკნიმი (nickname) - ზედმეტსახელი (გამოიყენება თამაშში მონაწილეობის ან საიტზე რეგისტრაციის დროს)

სკინი (skin) – კანი (გააჩნია პერსონაჟების შეცვლის ფუნქცია)

სკილი ( skill) - უნარ-ჩვევა (თამაშის გმირის შესაძლებლობა, ძალა)

გეიმერი (gamer) - მოთამაშე (კომპიუტერული თამაშების პროფესიონალი მოთამაშე)

გეიმპადი (gamepad) - დისტანციური მართვის პულტი

## **2. 4. ნეოლოგიზმების გავრცელების ძირითადი სფეროები თანამედროვე ქართულ ენაში**

ჩვენი ეპოქა უამრავ სიახლეს გვთავაზობს, მათ შორის ენობრივ ცვლილებებს, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე აისახება. ენას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ფორმირებისა და განვითარებისთვის.

ქართული ენა, მსოფლიოს სხვა ცოცხალ ენებთან ერთად, მუდმივად ვითარდება და მისი ლექსიკა ივსება ახალი სიტყვებით, ე.წ. ნეოლოგიზმებით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან და ფართოდ გავრცელებულ ენას ინგლისური წარმოადგენს, ამიტომ ქართულ ენაში ნეოლოგიზმების ჩამოყალიბების მთავარ წყაროდ ინგლისური გვევლინება.

ინგლისურმა ნეოლოგიზმებმა პოპულარობა მოიპოვა საქმიანობის ყველა სფეროში: მედიცინა, ბიზნესი, პოლიტიკა, სამართალი, სპორტი და სხვა.

## 2. 4. 1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

მასმედია მუდამ საზოგადოების სამსახურში დგას. მისი ფუნქციონირება კომუნიკაციის გარეშე წარმოუდგენელია. ჟურნალისტები სხვადასხვა ხერხებით ცდილობენ საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარებას, ინფორმაციის გადაცემას. ამისთვის დღეს მრავალი საშუალება არსებობს: ტელევიზია, რადიო, პრესა, და სხვა. ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვითარებასთან ერთად საზოგადოებას მიეცა შესაძლებლობა, სასურველი ინფორმაცია ვირტუალურადაც მიიღოს. ამისთვის ინტერნეტში მრავალი რესურსი არსებობს, მათ შორის სხვადასხვა ინტერნეტვერდები, ბლოგები და ა. შ.

მასმედიის საშუალებით ინფორმაციის გავრცელება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეშია შესაძლებელი. ინფორმაციის ენად კი ინგლისური მიიჩნევა, რაც ხელს უწყობს ნეოლოგიზმების გავრცელებას.

ჟურნალისტების მეტყველებაში საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს ნეოლოგიზმები, ანგლიციზმები, ან ინგლისური ენის გავლენით გამოწვეული სტილისტური ხარვეზები. ერთი მხრივ, შესაძლოა ითქვას, რომ ეს ცვლილებები უარყოფითად აისახება ქართულ ენაზე, რადგან ჩნდება საშიშროება მისი ბუნებრივი სახის დაკარგვისა. მეორე მხრივ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ენა ვითარდება თანამედროვე გამოწვევების ფონზე.

თანამედროვე ქართული მედიის ენამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მასზე მკვეთრად აისახა ინგლისური ნეოლოგიზმების ჭარბი შემოსვლა, რომლებსაც ჟურნალისტები სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაშუქებლად იყენებენ.

წარმოგიდგინოთ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გამოყენებულ ინგლისურ ნეოლოგიზმებს (ქრონიკა, 18 ივლისი, 2020 – 20:00):

პოლიტიზირებული/პოლიტიზაცია - to politicize (პოლიტიკური ხასიათის მინიჭება რაიმესთვის).

ტენდერი - tender (განაცხადი დაფინანსებაზე ან საინვესტიციო პროექტის მიღებაზე);

კომფორტი - comfort (კეთილმოწყობილობა, მყუდროება)

დისკომფორტი - discomfort (უხერხული, არასასიამოვნო მდგომარეობა);

სერვისი - service (ხალხის საყოფაცხოვრებო მომსახურება);

პოსტი - post (ჩანაწერი სოციალურ ქსელში)

სტანდარტი - standard ( დოკუმენტი, რომელიც ადგენს საყოველთაო წესებს).

## 2. 4. 2. კომპიუტერული ტექნოლოგიები

ინგლისური ნეოლოგიზმები ქართულ ენაში განსაკუთრებული სისწრაფით ვრცელდება ბოლო წლების განმავლობაში და ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროს იპყრობს. მათი გავრცელების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მაჩვენებელი საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ინტერნეტს უკავშირდება.

კომპიუტერის გამოგონებამ ერთგვარი რევოლუცია მოახდინა ადამიანთა ცხოვრებაში. თავდაპირველად კომპიუტერი მხოლოდ ინფორმაციის დასამუშავებლად გამოიყენებოდა და მისი სახელწოდება იყო „გამომთვლელი მანქანა“ (computing machine). თავად მოწყობილობის განვითარებასთან ერთად შეიცვალა მისი სახელწოდებაც, რომელსაც უწოდეს „პერსონალური კომპიუტერი“ (ინგ. Personal Computer). როგორც ვხედავთ, ქართულ ენაში მისი შესატყვისი სიტყვა არ მოგვეპოვებოდა, ამიტომ მოხდა ახალი სიტყვის, ანუ ნეოლოგიზმის სახით დამკვიდრება. საზოგადოებამ სწრაფად მიიღო ეს სიახლე. მათ მეტყველებაში გაჩნდა კიდევ ბევრი ახალი სიტყვა, რომლებიც დღემდე აქტიურად გამოიყენება. მაგალითად:

ვინდოუსი- Windows (ოპერაციული სისტემის სახეობა);

მონიტორი - monitor (მოწყობილობა კომპიუტერის გამოსახულების საკონტროლოდ);

პროცესორი - CPU – Central Processing Unit (კომპიუტერის ნაწილი, რომლის დანიშნულებაც ინფორმაციის მიღება);

პიქსელი - pixel (ეკრანის შემადგენელი უმცირესი ერთეული, რომელთა ერთობლიობით მივიღებთ გამოსახულებას);

დრაივერი - driver (სპეციალური პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპიუტერს დაინახოს თავისივე შემადგენელი ნაწილები);

ადამიანთა ცხოვრებაში გამოჩნდა მომდევნო მნიშვნელოვანი გამოგონება - ინტერნეტი. ამას მოჰყვა მთელი რიგი ახალი სიტყვები. მაგალითად:

ინტერნეტი - Internet/ International Net ( მსოფლიო ქსელი);

ვაიფაი - Wi-Fi (უკაბელოინტერნეტისდაცვისსისტემა);

განვიხილოთ „ინტელექტ ცენტრის“ ერთ-ერთ რეკლამაში გამოყენებული ნეოლოგიზმები, რომელიც ეხება „IT ინფორმაციული ტექნოლოგიების“ კურსებს:

ინსტალაცია - installation (სამონტაჟო საქმეების შესრულება, პროგრამის დაყენება და სხვა);

ოპტიმიზაცია - optimization (რამდენიმე ვარიანტიდან ყველაზე სასურველის არჩევა);

ლოკალური ქსელი - local Area Network (მცირე ტერიტორიაზე გავრცობილი კომპიუტერული ქსელი);

კონფიგურირება - configure (პარამეტრების შეცვლა);

როუტერი - router (მოწყობილობა, რომელიც რამდენიმე ლოკალურ ქსელს აკავშირებს ერთმანეთთან);

დრაივერი - driver (სისტემური პროგრამა, რომელიც მომსახურებით ფუნქციას ასრულებს).

### 2. 4. 3. მედიცინა

ქართული სამედიცინო კულტურა ოდითგანვე მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. საუკუნეების განმავლობაში მედიცინის დარგში ლათინური ენა დომინირებდა, ხოლო მე-16 საუკუნიდან დაიწყო მისი გამოყენების შევიწროება. დაახლოებით ამ პერიოდიდან ქართულ მედიცინაში ტერმინოლოგიისა თუ მკურნალობის მეთოდების მხრივ ლათინურის პარალელურად აქტუალური გახდა ევროპული მედიცინა.

გასულ საუკუნეში ლათინურის, როგორც სამედიცინო ტერმინოლოგიის ენის კონკურენტად მოგვევლინა ინგლისური ენა. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად ინგლისური ტერმინოლოგია წარმოშობით უმეტესწილად ლათინური ან ლათინიზირებულია.

მედიცინას ადამიანების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ისეთი სამედიცინო ტერმინოლოგიის არსებობა, რომელიც გასაგები იქნება ფართო აუდიტორიისთვის.

დღევანდელი მედიცინა ინგლისური ნეოლოგიზმების გავლენის ქვეშაა. ცხადია, ინგლისური ტერმინები ყველასთვის თანაბრად გასაგები ვერ იქნება, რაც გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს. ხშირ შემთხვევებში, ასეთი ტერმინოლოგიის არ ცოდნის გამო, პაციენტები ვერ აანალიზებენ დაავადების სირთულესა თუ თავად დიაგნოზს. განვიხილოთ ინგლისური ნეოლოგიზმების რამდენიმე მაგალითი მედიცინაში:

რენტგენი - roentgen (X-rays) - ელექტრომაგნიტური ტალღები, რომლებსაც შეუძლიათ მკვრივ საგნებში შეღწევა;

კავიტაცია - cavitation - ღრუს წარმოქმნა (მაგ., ფილტვის ტუბერკულოზის შემთხვევაში);

კონგლუტინანტი - conglutinant - წებოვანი ნივთიერება, რომელიც უზრუნველყოფს ჭრილობის კიდეების შეწყობას;

ელიმინაცია - elimination - გაქრობა, აღმოფხვრა;

ბლოკადა - blockade - რომელიმე ორგანოს ან ორგანოთა სისტემის ფუნქციის ხელოვნური ან სპონტანური გამოთიშვა;

შოკი - shock - ორგანიზმის თავისებური რეაქცია ძლიერი გამღიზიანებლის ზემოქმედების საპასუხოდ;

კაზეოზი - caseation - დაზიანებული ქსოვილის ნეკროზი (მაგ., ტუბერკულოზის შემთხვევაში);

ბოქსი - box - ტიხრებით გამოყოფილი ადგილი ავადმყოფის ცალკე მოსათავსებლად;

ბანდაჟი - bandage - ელასტიური შემოსაკრავი, შესახვევი მასალა, რომელიც გამოიყენება შინაგანი ორგანოების ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად;

ნუტრიენტები - nutrients - ორგანული და არაორგანული ნივთიერებები, რომლებიც საკვები პროდუქტების შემადგენლობაში შედის;

ნუტრიციოლოგია - nutriciology - მეცნიერება ადამიანისა და ცხოველების კვების შესახებ;

შუნტირება - shunting - დაზიანებული სისხლძარღვის ნაცვლად მუდმივი ან დროებითი სისხლის მიმოქცევის გზის შექმნა;

სკანირება - scanning - გამოსხივების სივცობრივი გადახრა ობიექტის სხვადასხვა უბნის თანმიმდევრული გამოკვლევის მიზნით;

ინგლისურენოვანი ტერმინების გამოყენების სიჭარბე შეინიშნება იმ შემთხვევაშიც, თუ ქართულ ენაში უკვე მოიძებნება მათი ეკვივალენტები. ასეთი ტერმინებია: სტრესი, სკრინინგი, პრევენცია, რეპროდუქცია, ურგენტული ქირურგია და სხვა.

## 2 4. 4. სპორტი

სპორტი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფენომენია. მის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ ძვ. წ. მესამე ათასწლეულიდან ჩნდება. სპორტული თამაშების ოლიმპიადა პირველად ძველ საბერძნეთში ჩატარდა და მალე მთელ ანტიკურ სამყაროში გავრცელდა. ამით სოციალური ურთიერთობა კიდევ უფრო დაიხვეწა და მარტივი გახდა სპორტთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება. ამ გზით ვრცელდებოდა ასევე ინფორმაცია სპორტის ახალ სახეობებზე და მათთან დაკავშირებულ წესებზე.

სპორტით დაინტერესება საქართველოშიც ადრეული პერიოდიდანვე დაიწყო და სპორტული თამაშების განვითარების მხრივ სხვა ქვეყნებს არ ჩამოუვარდებოდა. ბოლო პერიოდში კი სპორტმა განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია, რაც განაპირობა ახალი სპორტული სახეობების ჩამოყალიბებამ, ამასთან ერთად გაჩნდა ბევრი ახალი სიტყვა და განვითარდა სპორტული ჟურნალისტიკა. შესაბამისად, ეს განვითარება აისახა ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიაზეც და ინგლისურიდან შემოვიდა ბევრი ახალი სიტყვა. ესენია:

გოლფი - golf (სპორტული თამაშის სახეობა - სპეციალური ჯოხის დარტყმით ბურთს აგორებენ და ცდილობენ მის ორმოში ჩაგდებას);

სერფინგი - surfing (წყლის სპორტის სახეობა - სპეციალური დაფით ტალღებზე სრიალი);

რაგბი - rugby (ფეხბურთის ნაირსახეობა, რომლისგან განსხვავებით ბურთი არის ოვალური, დაშვებულია მისი ხელით გატაცება, მოწინააღმდეგის წაქცევა და ა.შ.);

კრიკეტი - cricket (ბურთის თამაშის სახეობა - მონაწილეები ორ ჯგუფად იყოფიან და ცდილობენ მოწინააღმდეგის კარში ჯოხით შეაგდონ ბურთი მოწინააღმდეგის კარში);

ჰოკეი - hockey (სპორტული გუნდური თამაში ბალახზე ან ყინულზე - ცდილობენ მოწინააღმდეგის კარში შეაგდონ ბურთი);

ბადმინტონი - badminton (ჩოგბურთის მსგავსი თამაში);

ბეისბოლი - baseball (ბურთის თამაში ჩოგნით, რომელშიც ორ გუნდად იყოფა ცხრა-ცხრა მოთამაშე).

სპორტის სახეობებთან ერთად საინტერესოა მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სიტყვები და ტერმინები. მაგალითად:

პენალტი - penalty (თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა);

ტაიმ-აუტი - time out (თამაშის დროს ერთწუთიანი შესვენება ერთ-ერთი გუნდის, მისი მწვრთნელის თხოვნით);

გოლი - goal (ბურთის შეგდება კარში);

სკეიტბორდი - skateboard (გორგოლაჭებიანი პატარა ფიცარი, რომელზეც ორივე ფეხით დგებიან და ისე მოძრაობენ);

სპორტსმენი - sportsman (პირი, რომელიც სისტემატიურად მისდევს სპორტს);

რაუნდი - round (დროის მონაკვეთი რომლის განმავლობაშიც იბრძვიან თამაშის მოწინააღმდეგეები).

განვიხილოთ იმედის არხზე გასული გადაცემა „სპორტი დიმა ობოლაძესთან ერთად“ (ტელეკომპანია იმედი, 15 ივლისი, 2020 - 21:43).

გადაცემის მიმდინარეობისას ჟურნალისტმა გამოიყენა შემდეგი ნეოლოგიზმები:

ინციდენტი - incident (უსიამოვნო შემთხვევა);

დისკვალიფიკაცია - disqualification (განსაზღვრული საქმის შესრულებისთვის პირის უუნაროდ გამოცხადება);

მატჩი - match (შეჯიბრება სპორტის რომელიმე სახეობაში ორ ან რამდენიმე სპორტსმენს ან გუნდს შორის);

საფეხბურთო კლუბი - club (საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს სპორტის რაიმე სახეობაში ჩაბმულ პირებს);

ინტერვიუ - interview (რომელიმე პირთან აქტუალურ თემაზე კითხვა-პასუხის ფორმით წარმართული საუბრის მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელება);

ჩემპიონი - champion (სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებული);

სტარტი - start (შეჯიბრების დაწყების მომენტი)

## 2. 4. 5. ბიზნესი

ბიზნესი (ინგლ. Business \_ საქმე) საქმიანი ურთიერთობა მის მონაწილეებს შორის, რომელთა მიზანია ეკონომიკური სარგებლის მიღება მოგების ან სხვაფორმით (შუბლაძე, ნანიტაშვილი, 2011:12).

ხალხთა შორის ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობები ყოველთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა. ამგვარ ურთიერთობებში უძველესი დროიდან დიდ როლს ასრულებდა ვაჭართა კლასი. ისინი სტუმრობდნენ სხვადასხვა ქვეყნებს, საიდანაც მოჰქონდათ ახალი საქონელი და მათი შესაბამისი სახელწოდებები. სწორედ ამ ვაჭრების დამსახურებით ვითარდებოდა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები და ხდებოდა ახალი სიტყვების გავრცელება.

საქართველოში ვაჭრობა ადრეულ პერიოდში განვითარდა. საგარეო ვაჭრობასა და სამეწარმეო საქმიანობაში განსაკუთრებით ხელი შეუწყო მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. ვაჭრობის განვითარებამ განაპირობა სხვა ქვეყნებთან უფრო მჭიდრო კონტაქტები. დროთა განმავლობაში აუცილებელი გახდა ინგლისური ტერმინოლოგიის შესწავლა, რადგან უმთავრეს როლს საერთაშორისო ურთიერთობებში სწორედ ინგლისური ენა ასრულებდა.

დღევანდელ გლობალურ მსოფლიოში წარმოუდგენელია სხვადასხვა ქვეყნების თანაარსებობა ინგლისური ენის გარეშე. ამის გამო, თანამედროვე ქართულმა ენამ შეითვისა ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული ინგლისური ნეოლოგიზმები. მაგალითად:

მარკეტინგი - marketing - ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გასაუმჯობესებლად ხორციელდება;

ლიზინგი - leasing - მანქანა-მოწყობილობებისა და წარმოებრივი დანიშნულების ნაგებობების გრძელვადიანი იჯარა შემდგომი გამოსყიდვის შესაძლებლობით;

ლისტინგი - listing - საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვების წესი;

კონცერნი - concern – საწარმოთა მსხვილი გაერთიანება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ინტერესებით, ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობით;

კლიენტი - client - პირი, ვინც პროფესიონალის მიერ გაწეულ მომსახურებაში ფულს იხდის;

ინვესტირება - invest - კაპიტალის დაბანდება, ფულის ჩადება ბიზნესში;

ბროკერი - broker - საბაზრო ურთიერთობათა აგენტი;

ჰოლდინგი - holding - კომპანია, რომელიც ფლობს სხვა კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტებს;

სპონსორი - sponsor - პირი, რომელიც აფინანსებს ეკონომიკურ პროექტს.

განვიხილოთ სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული სტატია „ევრაზიული კავშირის გადაწყვეტილება და საქართველოს მზაობა“ (netgazeti.ge, მარიამ ვარადაშვილი, სექტემბერი, 2017). აღნიშნულ სტატიაში გამოიკვეთა შემდეგი ნეოლოგიზმები:

იმპორტი - import - საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან;

ექსპორტი - export - საქონლის გატანა საზღვარგარეთ გასაყიდად;

სტატისტიკა - statistics - მეცნიერება, რომელიც სწავლობს რაოდენობრივ ცვლილებებს ადამიანთა საზოგადოებაში;

დისტრიბუტორი - distributor - საქონლის მწარმოებელი პირის წარმომადგენელი;

ლოჯისტიკა - logistics - მატერიალური და ტექნიკური მომარაგება;

პიარი - PR/Public Relations – საზოგადოებასთან ურთიერთობა.

## 2. 4. 6. პოლიტიკა

საზოგადოების გაჩენასთან ერთად წარმოიშვა პოლიტიკა. იგი წარმოადგენს საშუალებას, რომლის მიხედვითაც ხალხს შეუძლია გადაწყვიტოს, ვინ უნდა იყოს მთავრობაში. პოლიტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში. პოლიტიკოსები კი აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო საკითხების მოგვარებაში. ეს სფერო განსაკუთრებით მოითხოვს ენის ისეთი ტერმინოლოგიით შევსებას, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს გაამარტივებს. ეს განაპირობებს ქართულ პოლიტიკაში ახალი ინგლისური სიტყვების დამკვიდრებას.

პოლიტიკაში ხშირად გვეხვები შემდეგი ნეოლოგიზმები:

პრეზუმფცია - presumption (ჭეშმარიტებად მიჩნეული ვარიანტი საპირისპიროს დამტკიცებამდე);

პრეს-კონფერენცია - press conference (მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით მოწვეულ წარმომადგენელთა შეკრება);

რატიფიკაცია - ratification (სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება);

ომბუდსმენი - ombudsman (სახალხო დამცველი, რომელსაც ევალება პიროვნებათა უფლებების დაცვა).

განვიხილოთ ჟურნალი „სარკის“ ერთ-ერთ სტატიაში გამოყენებული პოლიტიკური ნეოლოგიზმები:

კონგრესმენი - congressman (კონგრესის, ანუ აშშ-ს პარლამენტის წევრი);

ნატო - NATO – (“ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია“);

დემოკრატია - democracy (მმართველობის ერთ-ერთი ფორმა);

ოკუპაცია - occupation (ტერიტორიის უკანონოდ მითვისება);

რესპუბლიკელი - republican (აშშ-ს ერთ-ერთი ძირითადი ბურჟუაზიული პარტიის წევრი).

## 2. 4. 7. შოუბიზნესი

ინგლისური ნეოლოგიზმების გავლენას ვერც ქართული შოუბიზნესის სფერო ასცდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქართული შოუბიზნესი განვითარების მხრივ დიდად არ გამოირჩევა, მაინც ცდილობს გარკვეულწილად ფეხი აუწყოს მსოფლიო

ტენდენციებს. აქედან გამომდინარე, თანამედროვე შოუბიზნესში ბევრ ახალ სიტყვას შევხვდებით.

წარმოგიდგენთ სტატიას „საქართველოს ბანკისა“ და SOLO-სორგანიზებით, ლენი კრავიცი თბილისში გრანდიოზულ კონცერტს გამართავს“. აღნიშნულ სტატიაში გამოიკვეთა საკმაოდ დიდი რაოდენობის ინგლისური სიტყვები. ესენია:

როკ-მუსიკოსი - rock musician (როკ-მუსიკის შემსრულებელი პირი);

ექსკლუზიური - exclusive (განსაკუთრებული);

როკი - rock music (მუსიკის პოპულარული ჟანრი);

ფანკი - punk (მუსიკალური ჟანრი);

ბლუზი - blues (ნელი ტემპის მუსიკალური ჟანრი);

სოული - soul (ბლუზისა და ჯაზის კომბინაცია);

შოუ - show (წარმოდგენა);

ჰიტი - hit (ძალიან პოპულარული სიმღერა);

დაანონსება - to announce (წინასწარ გამოცხადება);

რასიზმი - Racism (წინასწარ შექმნილი უარყოფითი აზრი ადამიანთა მიმართ ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით);

ქსენოფობია - Xenophobia (შეუწყნარებლობა უცხოელების მიმართ, რომლებიც შემოდინან ქვეყანაში);

სინგლი - single (ერთი ან მეტი განსხვავებული სიმღერის ჩანაწერი);

კომფორტული - comfortable (კეთილმოწყობილი);

კლუბი - club (საზოგადოებრივი შეკრების ადგილი გართობისთვის).

აქვე განვიხილოთ სოციალურ მედიაში განთავსებული სტატია „რა ხდება ქართულ შოუბიზნესში?!“ (marketer.ge, 11 აგვისტო, 2013). მოცემული სტატიიდან გამოვყოფთ შემდეგ ნეოლოგიზმებს:

შოუბიზნესი - show-business (საესტრადო გამოსვლა, რომელიც ღონისძიების ორგანიზატორთა შემოსავლის წყაროა);

რეალიზება - realize (რაიმეს განხორციელება);

კლუბი - club (ადგილი, სადაც გასართობად იკრიბებიან);

პროდიუსერი - producer (სპეციალისტი, რომელიც პროექტის წარმოებაში უშუალოდ მონაწილეობს);

მენეჯერი - manager (ხელმძღვანელი პირი);

ბიზნესი - business (საქმიანობა, როგორც პირადი გამდიდრების წყარო);

მოტივაცია - motivation ( სტიმული, რაც ადამიანებს ძალას აძლევს მუშაობისას);

ინვესტიცია - invest (რაიმე სახის ფულადი, ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობის დაბანდება);

ბარი - bar (პატარა რესტორანი);

პოპულარიზაცია - popularization (რაიმეს გავრცელება ფართო საზოგადოებაში);

## დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავდა თანამედროვე ქართულ ენაში ინგლისური ნეოლოგიზმების გავრცელების ძირითადი მიზეზების, მათი გავრცელების საშუალებების, ქართულ ენაზე მათი გავლენისა და გავრცელების ძირითადი სფეროების წარმოჩენას. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შესაძლოა, ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები:

ნეოლოგიზმების გავრცელების უმთავრეს მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ გლობალიზაციის გავლენა ენასა და საზოგადოებაზე. გლობალიზაციის პროცესების დაჩქარებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ვინაიდან მას თან ახლდა ენის ბარიერი, საჭირო გახდა გლობალური ენის არსებობა, რაც ხელს შეუწყობდა ხალხთა შორის ურთიერთობას.

ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ახალმა გამოგონებებმა, მათ შორის ინტერნეტმა სათავე დაუდო ნეოლოგიზმების კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებას. ამასთან ერთად, ბოლო დროს უფრო გაიზარდა საერთაშორისო კონტაქტები, რამაც გამოიწვია ინგლისური ენის და შესაბამისად, ნეოლოგიზმების გავრცელება საქმიანობის ყველა სფეროში.

1. ქართულ ენაში ნეოლოგიზმების გავრცელების ძირითად საშუალებად მასმედია გამოიკვეთა. ჟურნალისტების სამეცნიერო ენა დროთა განმავლობაში იცვლება, ჩნდება ახალი სიტყვები, ტერმინები, რომლებიც მილიონობით მაყურებელამდე აღწევს. ამრიგად, მასმედია მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების წყაროს არ წარმოადგენს, ის ნეოლოგიზმების გავრცელების ეფექტური საშუალებაცაა.

ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ინტერნეტის როლი ნეოლოგიზმების გავრცელებაში.

2. ნეოლოგიზმებს ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგანმათი მეშვეობით მდიდრდება ენის ლექსიკური მარაგი. ახალ საგნებთან ერთად მკვიდრდება მათი თავდაპირველი სახელები და საჭირო აღარ ხდება ახალი სიტყვის წარმოქმნა.

3. ნეოლოგიზმების გავრცელების სფეროები საკმაოდ მასშტაბურია. ისინი მოიცავს მასობრივ ინფორმაციის საშუალებებს, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, მედიცინას, სპორტს, ბიზნესს, პოლიტიკასა თუ შოუბიზნესს. ყველა ეს სფერო ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ამიტომ მათი მეშვეობით ნეოლოგიზმები უჩვეულო სისწრაფით იჭრებიან ჩვენს ცხოვრებაში.

დასკვნის სახით შესაძლოა ვთქვათ, რომ ენაში ნეოლოგიზმების დამკვიდრება მისი განვითარების თანმხლები პროცესია. გლობალიზაციის პირობებში კი ქართულ ენაში ინგლისური ნეოლოგიზმების შემოდინება უფრო და უფრო შეუქცევად ხასიათს იღებს, რაც მხოლოდ უარყოფით კონტექსტში არ უნდა განვიხილოთ. თუკი საუკუნეების განმავლობაში ქართული ენა უცხო ენობრივი ერთეულებისთვის ღია იყო, დღეს ნეოლოგიზმების გავრცელების საკითხი საგანგაშოდ არ უნდა ჩაითვალოს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენას თვითგაწმენდის ფუნქცია გააჩნია და ამ შემთხვევაშიც ენა თავად გამოარჩევს, ახალი სიტყვებიდან რომელი მიიღოს და რომელი - არა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე გ., აბესაძე თ., გლობალიზაცია და საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის თავისებურებები. თბილისი, 2011.
2. ავალიანი ლ., დადიანი ე., არაბული ფუძეებისგან მე-ე კონფიქსით ნაწარმოები ხელობა-მოსაქმეობის სახელები ქართულში. ქართველური მემკვიდრეობა, IX, 2005.
3. ახვლედიანი გ., ჩიქობავა ა., ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა I. ტფილისი, 1932.
4. ახოზაძე ბ., ბიზნეს ტერმინოლოგიის თარგმნისა და სისტემატიზაციის პრობლემა (თანამედროვე ინგლისური და ქართული ენების კონტექსტში). დისერტაცია, თბილისი, 2019.
5. ბართაია ნ., ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010.
6. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008.
7. დავითაშვილი ზ., ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. „მეცნიერება“, თბილისი, 2003.
8. თოიძე ა., რეკლამის კომუნიკაციური ფუნქცია და სარეკლამო სლოგანის პარადოქსები (ინგლისური და ქართული ენების ბაზაზე), დისერტაცია. ბათუმი, 2013.
9. იბერი ე., მჭავანაძე თ., ტალახაძე ნ., საქართველოს რადიოს ისტორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
10. იმედაძე ს., არაბული წარმოშობის ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონ ქართულში“ (დისერტაცია). ქუთაისი, 2014.
11. კილანავა მ., უახლესი (2010-2013წ.) პერიოდის ქართული მასმედიის ენობრივი სურათი და მასთან დაკავშირებული თარგმანის პრობლემები. თბილისი, 2014.
12. ლომიძე კ., ანგლიციზმების ადაპტაციის თავისებურებები და გავრცელების სფეროები (დისერტაცია). თბილისი, 2008.

13. პავლიაშვილი გ., თანამედროვე ქართული სპორტული ჟურნალისტიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები (სამაგისტრო ნაშრომი). თბილისი, 2019.
14. სიგუა ს., კულტუროლოგიის საფუძვლები III. „მწერლის გაზეთი“, თბილისი, 2013.
15. შერაზადიშვილი ხ., თანამედროვე ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემები (დისერტაცია). თბილისი, 2016.
16. შუბლაძე გ., ნანიტაშვილი მ., ბიზნესის საფუძვლები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011.
17. ჩიქობავა ა., ენათმეცნიერების შესავალი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.
18. ჩიხლაძე ნ., ლათინური როგორც სამედიცინო ტერმინოლოგიის ენა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2015, #2(6).
19. ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი. 1989.
20. ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა. თბილისი, 1997.
21. ჯორბენაძე მ., გლობალიზაციის პროცესი და ეროვნული კულტურები (დისერტაცია). ბათუმი, 2012.
22. Crystal D., English as a Global Language. Second edition. Cambridge University Press, 2003.
23. Davitishvili N., On the Integration of Anglicisms Into Present-Day Georgian. Studies in Literature and Language, 17(3), 2018, pp. 22-27.
24. Goshkheteliani I., Kikvadze M., The influence of English borrowings on the Georgian language. Journal of Teaching and Education, 2017.
25. Gvelesiani I., Globalization and the world languages. Education Science and Psychology. #1(20), 2012.
26. Hoffer B. L., Language Borrowing and the Indices of Adaptability and Receptivity. Intercultural Communication Studies XIV, 2005.
27. Kirvalidze N., Lingo-cultural and pragmatic peculiarities of the phenomenon of anglicisation in Georgia. Journal of Teaching and Education, 2017.

28. Piedra M., Espinoza Ch. The use of anglicisms among teenagers. 2011.

### ელექტრონული რესურსები

29. <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/3-30>
30. <https://barbarisms.ge/>
31. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php>
32. [https://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/03/normebi\\_40-49gv\\_opt.pdf](https://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/03/normebi_40-49gv_opt.pdf)
33. <http://modusgio.blogspot.com/2008/01/blog-post.html>
34. <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/52833-qarthuli-presa-pirveli-respublikis-periodshi-interviu-istorikos-othar-janelidzesthan>
35. <http://online.fliphtml5.com/ddey/pbco/#p=1>
36. <https://www.mediachecker.ge/ka/wiki/resursebi/article/48959-rogor-gachnda-akhali-ambebi-radioshi>
37. <https://www.amerikiskhma.com/a/article-----125267824/535750.html>
38. <https://openheart.ge/georgia-and-medicine/>
39. <https://www.gfsis.org/files/my-world/1/politika.pdf>
40. <https://sangu.ge/images/2014/gneb.pdf>
41. [https://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/03/Labartxava-M. 16Tomi\\_63gv..pdf](https://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/03/Labartxava-M. 16Tomi_63gv..pdf)